ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 26 თებერვალი, 2018 №47 (7592) ფასი: 50 თეთრი

„ჩქარა მიპასუხე, ჩქარა“ — რა მისწერა ლადო გრიგალაშვილმა ბმვ-ს მძღოლს გვ.7



ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები გაირკვა

23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

ყველაზე შორეული ზურგი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# „ქართველის არცერთი მკვლელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!“



გვ.3

## ზაზა ქაია: „ოკუპანტებსა და მათ საყმოს ქართველების მკვლელობის სურვილი გავუჩინეთ“



## რატომ აგვიანებს ცხინვალი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემას

გვ.2

ცხინვალის ციხეში მოკლულ ქართველ ჯარისკაცზე ევროკავშირი იმსჯელებს

## დაუსაბუთებელი, შეკვეთილი, ცილისმწამებლური კამპანია ბიზნესმენ ბადრი წილოსანის წინააღმდეგ



ვინ დგას ამ ყველაფრის უკან გვ.5

## ვინ გადასცა 13 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლის მონაცემები მოსკოვს

გვ.2





გვ.4

## ვის კანდიდატურას დააყენებს „ოცნება“ ვანსა და ხონში — დავით ლორთქიფანიძის თუ ზურაბ ტყემალაძის?

სამართალი



გვ.7

## ზაურ კორაშვილი ჯერ შვილმა და რძალმა ცემეს, მერე მანქანამ გაიტანა და მოკლა

ქუთაისში თურქეთის მოქალაქემ 15 წლის მეუღლე დანით დასერა

## ვახტანგ ძაბირაძე: „საზოგადოებას სანდო სასამართლო უფრო სჭირდება, ვიდრე მილიარდიანი ინვესტიცია“

გვ.3



ეკონომიკა გვ.6




## 29 წლის ბიჭი, რომელმაც პირველი ქართული კრიპტოვალუტა შექმნა

## დატერორებული თბილისის მცხოვრები, ანუ რას აკეთებს მერიის ზოგიერთი სამსახური

ბატონი კახა კალაძისა და ბატონი ირაკლი ხმალაძის საყურადღებოდ! გვ.6

ნუთუ კორუფცია იკიდებს ფეხს თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურში?!

ISSN 1987-9385

8 სირიის თაობაზე საიდუმლო გეგმას ვაშინგტონი და მოსკოვი განიხილავენ?

8 ნატო-ს პირდაპირ ეთერში რუსები და უკრაინელები ერთმანეთს დაერივნენ

2 იერუსალიმში მაცხოვრის საფლავი პროტესტის ნიშნად დაიკეტა

8 ტრამპი ჩრდილოეთ კორეას დაემუქრა

# ვინ გადასცა 13 ათასზე მეტი ქართველი მებრძოლის მონაცემები მოსკოვს

შორენა მარსაგიშვილი

## დავით მაყიშვილი: „ნებისმიერი მათგანი შეიძლება გახდეს რუსეთის სპეცსამსახურების მძევალი“

**თადარიგის ვიცეპოლკოვნიკი დავით მაყიშვილი უკვე დიდი ხანია საუბრობს იმაზე, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ქართველ სამხედროებზე ნადირობენ. საუბარია იმ სამხედროებზე, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდნენ.**



მისივე ინფორმაციით, რუსებს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა მონაცემები ქართულმა მხარემ გადასცა. ამ ბრალდებით სხვებიც გამოვიდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს ბრალდებები კატეგორიულად უარყო.

რამდენიმე დღის წინ ცხინვალში ქართველი ჯარისკაცი მოკლეს. ვიცეპოლკოვნიკი მაყიშვილი ვარაუდობს, რომ ქართველებზე ნადირობა გაგრძელდება.

– არაერთხელ იქნა გაჟღერებული მასმედიით და არაერთი ფაქტი იქნა გახმაურებული ბოლო წლებში საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიდან საიდუმლო ინფორმაციის, მათ შორის მოქმედი და თადარიგში გასული სამხედრო მოსამსახურეების პირადი მონაცემების გადინების შესახებ, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით რუსეთის ფედერაციის დაზვერვისა და სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდა.

მრავალი შემთხვევის მოწმე გავხდით, თუ როგორ ახორციელებს რუსეთი იმ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების დასჯას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, – აღნიშნავს მაყიშვილი.

საგანგებო განცხადებაში ის 2017 წლის იანვარში მომხდარ სკანდალსაც იგონებს:

– ყველას კარგად გვახსოვს გია ცერცვაძის შემთხვევა, რომელიც, რუსეთის მიერ ინტერპოლის ძებნაზე მყოფი, უპრობლემოდ გაატარეს საქართველოს საზღვარზე ისე, რომ არც კი გააფრთხილეს.

მაყიშვილის განცხადებით, ცერცვაძე იმ მომენტში, საბედნიეროდ, უკრაინაში მიფრინავდა და ამით გაუმართლა.

– უკრაინის ნაცვლად ის სომხეთში ან რომელიმე აზიის ქვეყანაში რომ ჩაფრენილიყო, ადვილი წარმოსადგენია, დღეს სად იქნებოდა გია ცერცვაძე ან იქნებოდა კი ცოცხალი? – კითხულობს მაყიშვილი.

ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამ შემთხვევის შემდეგ დადასტურდა, რომ რუსები მართლა ფლობდნენ ქართველი სამხედროების პირად მონაცემებს.

იმ პერიოდში ქართველი სამხედროების მონაცემები რუსულმა მედიამაც გამოაქვეყნა.

– ამ შემთხვევისა და გახმაურებული ფაქტის შედეგად გაირკვა, რომ რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებს ჰქონდათ ყველანაირი ინფორმაცია მის შესახებ, მათ შორის საზღვრის კვეთები. იმ პერიოდში რუსულ ინტერნეტსაიტებზე გამოჩნდა ყოფილი სამხედრო მეთაურების პირადი მონაცემები, მათ შორის, პასპორტის ქსეროასლები და სხვადასხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლებიც ქართული სპეცსამსახურების დახმარების გარეშე ვერ ჩაუვარდებოდა რუსეთს ხელში.

ამ საფუძვლიან ეჭვს მიმყარებს ის, რომ 2015 წელს სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის მოქმედმა თანამშრომელმა გია არდაზიშვილმა საქართველო დატოვა და ოკუპირებული ტერიტორიის გამოყენებით რუსეთში გაიქცა. დღემდე უცნობია, რა სახის ინფორმაცია გაიტანა უშიშროების მოქმედმა თანამშრომელმა, – ამბობს ვიცეპოლკოვნიკი.

მისივე თქმით, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ 2016 წელს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ყოფილ უფროსის, გენერალ-მაიორ ზურაბ გამეზარდაშვილის მოსკოვში ვიზიტი:

– საკმაოდ დიდ ეჭვს იწვევს სასაზღვრო პოლიციის შეფის ვიზიტი მოსკოვში, რომელსაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი მისი სამსახურებრივი მოღვაწეობის პერიოდში.

ის საგანგებო განცხადებაში კიდევ ერთ სკანდალურ ფაქტს იხსენებს, რომელიც, მისი თქმით, დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ამ საქმეზე საქართველოს პროკურატურა დღემდე დუმს.

– საქმე ეხება აუდიტის სამსახურის მიერ 2015-2016 წლის სკანდალურ დასკვნას საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის შესახებ. გამოქვეყნებული მასალებით ირკვევა, რომ 2015 წლის 21 ივლისს საჯარო რეესტრში რეგისტრირდება შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსი“, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი გახლავთ ნიდერლანდების სამეფოში რეგისტრირებული „ფორტუნაჰოლდინგი“. კომპანიის დირექტორის პოზიციაზე მითითებულია ისრაელის მოქალაქე, ვინმე რაფაელ მალალაშვილი. საჯარო რეესტრში რეგისტრირებიდან სამი დღის შემდეგ, 2015 წლის 24 ივლისს, შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსსა“ და ვეტერანთა სამსახურს შორის ფორმდება ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი. კომპანია ვალდებულებას იღებდა, შეექმნა და ემართა ექსკლუზიური „ვეტერანთა კლუბი“, მოეზიდა პარტნიორი კომპანიები და ისეთი იურიდიული პირები, რომლებიც „ვეტერანთა კლუბის“ სხვადასხვა აქტივობას დააფინანსებდნენ.

აუდიტის ანგარიშით ირკვევა, რომ არცერთი მსგავსი აქტივობა არ განხორციელებულა, თუმცა კომპანიის ხელში აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი 13.463 ვეტერანის პერსონალური მონაცემები. რა თქმა უნდა, ისმის კითხვა, ვინ იყო ეს პირი და სად წაიღო მებრძოლების მონაცემები, – აღნიშნავს მაყიშვილი.

22 თებერვალს ოკუპირებულ ცხინვალში არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა ვიცეპოლკოვნიკს შემდეგი დასკვნის გაკეთების უფლებას აძლევს:

– დღეს, როდესაც რუსეთის ოკუპაციურმა ძალებმა მოგვიკლეს კიდევ ერთი ქართველი, არჩილ ტეტუნაშვილი, ყველასათვის თვალნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ რუსეთის სპეცსამსახურებთან, რადგან ხშირ შემთხვევაში რუსეთის სპეცსამსახურებს ხელთ აქვთ ისეთი მონაცემები, რომელთა მოპოვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, ის ქართველ სამხედროებს რჩევასაც აძლევს. მისი რჩევა ასეთია:

– მინდა, მოვუწოდო ყველა იმ ქართველს, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში – თავი შეიკავეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლისგან, სამუშაოს ძებნისგან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, რადგან თქვენი ყველას მონაცემები გააჩნია რუსეთის ფედერაციას და ნებისმიერ დროს შესაძლებელია, აღმოჩნდეთ რუსეთის სპეცსამსახურების მძევალნი.

# რატომ აგვიანებს ცხინვალი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემას

## ცხინვალის ციხეში მოკლულ ქართველ ჯარისკაცზე ევროკავშირი იმსჯელებს

შორენა მარსაგიშვილი

დღეს, 26 თებერვალს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომაზე ქართველი სამხედროს, არჩილ ტატუნაშვილის შესახებაც ისაუბრებენ. ცხინვალში მოკლული ქართველი მებრძოლის საკითხის დაყენებას ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი აპირებს.

– რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში რეპრესიული რეჟიმის მახინჯი სახე გამოჩნდა. ვგმობ საქართველოს მოქალაქეების დევნას და მოვითხოვ, ადგილზე შეიქმნას ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები. მე ამ საკითხს 26 თებერვალს წამოვაყენებ ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს სხდომაზე, – წერს ლინას ლინკევიჩუსი.

22 თებერვალს არჩილ ტატუნაშვილთან ერთად ოსებმა კიდევ ორი ქართველი –

ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი დააკავეს. ისინი 23 თებერვალს, გვიან საღამოს, გაათავისუფლეს, თუმცა ოკუპირებული ტერიტორიის დატოვების უფლება არ მისცეს.



ახალგორის გამგებელ ნუგზარ თინიკაშვილის განცხადებით, ლევან ქუტაშვილსა და იოსებ პავლიაშვილს შესაბამისი დოკუმენტაცია ჩამორთმეული აქვთ.

– გათავისუფლებულები ლევან ქუტაშვილი და სოსო პავლიაშვილი არიან თავიანთ ოჯახებში, ოკუპირებულ ახალგორის ტერიტორიაზე. მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, საბედნიეროდ, საფრთხე არ ემუქრება. სამწუხაროდ, ისინი ოკუპირებულ ტერიტორიაზე არიან, საბუთს არ აძლევენ და ვერ გამოდიან. ჩამორთმეული აქვთ „პროპუსკი“ და პირადობის მოწმობა. შიშით, ალბათ, სამწუხაროდ ასეა, ვერ ისაუბრებენ ჯერ. რა თქმა უნდა, გარკვეული ინფორმაციები ექნებათ, მაგრამ ამაზე ჯერ არანაირი საუბარი არ არის, – განუცხადა ჟურნალისტებს ახალგორის გამგებელმა.

ოსური მხარე გვპირდება, რომ ტატუნაშვილის ცხედარსაც გადმოგვცემენ. როდის მოხდება გადმოცემა, არ გვეუბნებიან. ქართულმა მხარემ მოითხოვა, რომ ექსპერტიზა ქართველმა ექსპერტებმა ჩაატარონ. ცხინვალმა ამაზე უარი თქვა, გვითხრეს, რომ ექსპერტიზას თავად ჩაატარებენ. გარდაცვლილი ჯარისკაცის მამა, გიორგი ტატუნაშვილი, ამბობს, რომ ოსურმა მხარემ ექსპერტიზა შესაძლოა 26 ან 27 თებერვალს ჩაატაროს.

– უშიშროებიდან იყვნენ ამოსული და თქვეს, ოსურმა მხარემ უარი გვითხრა ცხედრის გადმოცემაზეო. შაბათს, 24 თებერვალს, უნდა გადმოეცათ ცხედარი. ჩვენ უნდა ჩავუტაროთ ჩვენი ექსპერტიზაო. შაბათ-კვირას ჩვენ არ გვცალიაო, ვისვენებთო. მეტი ცინიზმი გინახავთ, ხალხო? რა გახდა ერთი ექსპერტიზის ჩატარება და ორშაბათს გადმოგცემთო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ტატუნაშვილმა.

როდის გადმოგვცემენ ოსები მათ მიერ მოკლული ქართველი ჯარისკაცის ცხედარს, ამაზე საუბარი ქართულ სპეცსამსახურებსაც უჭირთ. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით მათიკაშვილი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გარდაცვლილი საქართველოში გადმოასვენონ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების დახმარებით მაქსიმალურად ცდილობს, შემცირდეს ის უარყოფითი ეფექტი, რომელიც ოკუპაციას ახლავს.

– ეს არის კიდევ ერთი ფაქტი იმისა, თუ რა მძიმეა ოკუპაცია და ოკუპაციის ის მდგომარეობა საქართველოსთვის, დღეს რა რეჟიმშიც ვიმყოფებით. საქართველოს ხელისუფლება აბსოლუტურად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გარდაცვლილი საქართველოში გადმოასვენონ, – განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

# იერუსალიმში მაცხოვრის საფლავი პროტესტის ნიშნად დაიკეტა

ყველა ქრისტიანული კონფესიის ერთობლივი გადაწყვეტილებით, უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე – მაცხოვრის საფლავი და მასზე მდებარე ტაძარი – პროტესტის ნიშნად დაიხურა.

პროტესტის მიზეზი იერუსალიმის მერიისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების გეგმებია, რომელთა თანახმადაც, კომპლექსს, შესაძლოა, მუნიციპალური გადასახადი დაეკისროს.

კონფესიების წარმომადგენლები, რომლებიც მაცხოვრის საფლავის ერთობლივ მართვას ახორციელებენ, აცხადებენ, რომ ეს არსებული სტატუსკვოს დარღვევაა. მათი თქმით, იერუსალიმის ხელისუფლება აპირებს, დაუწესოს გადასახადი ყველა სახის უძრავ ქონებას, გარდა უშუალოდ ტაძრისა.

„წმინდა მიწაზე ქრისტიანებზე სისტემატური და უპრეცედენტო ზეწოლა ხორციელდება, რაც არღვევს საბაზისო და სუვერენულ უფლებებს, რომლებიც ანტიკური ხანიდან გაგვაჩნია. ეს აზიანებს იმ ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, რომლებიც იერუსალიმის ქრისტიანულ თემსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებობდა“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც მართლმადიდებელი პატრიარქი, კათოლიკური ეკლესიის კუსტოსი (კურატორი) და სომხური ეკლესიის პატრიარქი აწერენ ხელს.

ჯერჯერობით უცნობია, როდემდე იქნება მაცხოვრის საფლავი დაკეტილი მნახველებისა და მრევლისთვის.

ნიუპოსტი



ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „საზოგადოებას სანდო სასამართლო უფრო სჭირდება, ვიდრე მილიარდიანი ინვესტიცია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო ვახტანგ, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მმართველ პარტიას, პოლიტიკური გამოუცდელობიდან გამომდინარე, ჰგონია, თუ კრიზისს გადააგორებს, ყველას დაავიწყდება. ასევე, ამერიკის ელჩმა იან კელიმ ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლებიც დემოკრატიის კუთხით არის. რამდენად აცნობიერებს ამ გამოწვევებს ხელისუფლება?***

— დემოკრატიული ინსტიტუციების, ზოგადად დემოკრატიის საფუძველი კონსტიტუცია უნდა გამხდარიყო. ვიღაცის ნება-სურვილის იმედად ყოფნა გარანტიას არ იძლევა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რეფორმები ტარდება, მაგრამ სისტემა არ იცვლება. ვერა და ვერ ვახერხებთ, რომ რეალურად გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლო ხელისუფლებამ და ა.შ. ვერა და ვერ მოხდა აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების დაყოფა.

***— სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსი არ არის?***

— რა თქმა უნდა, არ არის და ეს არის მთელი პრობლემის სათავე. აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ეს სისტემა თუ არ მოიშალა, არაფერი გამოვა და ასე ვივლით ერთსა და იმავე წრეზე. უფლებამოსილებები თუ არ იქნა გადანაწილებული და რეალურად ურთიერთკონტროლი თუ არ ამოქმედდა, არაფერი გვეშველება.

მაგალითად, კახიშვილმა სასჯელაღსრულების სისტემაში რეფორმები გაატარა და თვითონ უკავია ეს სიტუაცია, ამიტომ არის, რომ აქამდე არაფერი გვსმენია ციხეებში ცუდის შესახებ, მაგრამ საკმარისია, დაბრუნდეს ნაციონალური ხელისუფლება და მისი ლიდერი, რომ ხვალ იგივე მოხდეს, რაც ხდებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ პიროვნებები კი არ უნდა განსაზღვრავდნენ, არამედ სისტემა უნდა მუშაობდეს ისე, რომ უკანონობა არ დაუშვას. ინსტიტუციურად უნდა იყოს გამართული ნებისმიერი სტრუქტურა, ეს კი, საბოლოო ჯამში, ჯანსაღ სისტემას მოგვცემს.

მეორე, კონსტიტუციაში უნდა იდოს რეალური მექანიზმები, რომ ხელისუფლების ცვლილება დემოკრატიულად მოხდეს. ეს ყველაფერი იძლევა იმ სურათს, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს გვაქვს.

***— პრემიერმა თქვა, რომ უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებზე საზოგადოებას და მასაც აქვთ კითხვები. რა გზავნილი იყო ეს პრემიერის მხრიდან?***

— როდესაც მურუსიძე გახდა რეალურად ახალი სასამართლოს სახე, რა, მაშინ არ იცოდნენ, საით წავიდოდა ეს ყველაფერი?! ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, რომ სხვაგვარად განვითარდებოდა მოვლენები?! ეს ხომ შეუძლებელი იყო. მე თავის დროზე ვეუბნებოდი მათ, რომ ასე არ გამოვა და ეს საზოგადოების დიდ უნდობლობას მოიტანს. მაშინ ამოეღო დალოცვილს ხმა, ახლა გამოსვლა და ამის თქმა, რომ კითხვები აქვს, უკან მიდევნებული ლამპარივითაა. ეს ხომ არაფერს ცვლის, გარდა იმისა, რომ ხვალ და ზეგ იტყვის, მეც არ მომწონდა, გამოვედი და ღიად ვთქვიო. ეს ხომ არასერიოზულია. თვითონ არის ხელისუფლება, აგერ ჰყავს საკონსტიტუციო უმრავლესობა და, თუ საზოგადოებას კითხვები აქვს, მაშინ შეცვალოს.

რაც შეეხება იმას, რომ პარლამენტი ვერ ჩაერევა, დიახ, ვერ ჩაერევა, მაგრამ პარლამენტს შეუძლია, კანონი მიიღოს და ეს ყველაფერი შეცვალოს. თუ პარლამენტი ვერ აანალიზებს, რა პოლიტიკური ვითარება შეიძლება მოჰყვეს ამას ქვეყანაში, მაშინ ძალიან ცუდად გვქონია საქმე.

***— რამე მოვლენების ინსპირატორი შეიძლება ეს გახდეს?***

— რასაკვირველია, თუ ამ პრობლემას სათანადოდ ვერ გააცნობიერებს ხელისუფლება და რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამს ვითარების სასწრაფოდ გამოსასწორებლად, ეს ხელისუფლება იქნება თუ სხვა, მას მაინც მოუწევს სასამართლოს ამ შემადგენლობისა და ამ სისტემის კარდინალური ცვლილება. სხვაგვარად ამ ჭაობიდან ვერ ამოვალთ.



ვახტანგ ძაბირაძე: „ვეუბნებოდი ხელისუფლებას, რომ ასე არ გამოვა“

საზოგადოების მიერ ნდობაგამოცხადებული სასამართლო ამ ქვეყანას ჰაერივით სჭირდება, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერი მილიარდიანი ინვესტიცია.

***— ხელისუფლების უახლესი ამოცანა რა არის, არსებული შეცდომები გამოასწოროს თუ არაფერი შეცვალოს და დინებას მიჰყვეს?***

— ხელისუფლება ჯერ მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორ მოიგოს 2020 წლის არჩევნები. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ როგორმე მოიგოს 2020 წლის არჩევნები.

***— კიდევ დარჩეს ხელისუფლებაში?***

— დიახ, მაგრამ, რომ შეძლოს, ამას რადიკალური ნაბიჯების გადადგმა სჭირდება. ხელისუფლება თუ წელს რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ვერ მოახერხებს, მომავალი წლიდან პოლიტიკური პროცესი ისეთ ფაზაში შევა, რომლის შემობრუნებასაც, უბრალოდ, ველარ შეძლებს.

მაგალითად, ძალიან კარგ კანონს იღებენ მცირე მეწარმეებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ველარ უშველის, რადგან ხუთი წლის წინ უნდა მიეღოთ და არა – დღეს. ეს არის დაგვიანებული რეაქცია, რაც არ შველის. პოლიტიკაში დრო განმსაზღვრელია. თუ ხელისუფლება დროს ასცდა, ეს ნიშნავს, რომ ის უკვე დემოკრატიული ბერკეტებით ველარ გავა ფონს. შესაბამისად, სამწუხაროდ, ხელისუფლება იძულებული იქნება, მომავალი წლიდან უფრო ავტორიტარიზმისკენ წავიდეს და აამოქმედოს ის მექანიზმები, რომლებიც ჩადებულია ამ კონსტიტუციაში.

შორენა მარსაგიშვილი

# „ქართველის არცერთი მკვლელი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!“

## შეიქმნება თუ არა საქართველოში ვიზენტალის ცენტრი

რატომ გათავხედდნენ ოკუპანტები და სეპარატისტები, როგორ შეიძლება დავიცვათ ჩვენი თანამემამულეები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რა უნდა გააკეთონ ხელისუფლებამ და საზოგადოებამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა დაცვის ლიგის წარმომადგენელი ზაზა ჭაია ესაუბრება.

***— ცხინვალში ქართველი ჯარისკაცის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობაზე ძალიან მწვავე რეაქცია გქონდათ. სოციალურ ქსელში ასეთი რამე დაწერეთ: „ადრეც ვაფრთხილებდით სახელმწიფოს, თუ თავის ცხვირწინ მონავარდე ვიგინდარა რაშიდ კანჯიოღლისა და სხვა ნაგავს აიტანდა, ამით ოკუპანტებსა და მათ საყმოს ქართველების მკვლელობის სურვილს გაუჩენდა“. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო, რომ ოკუპანტებმა და მათმა საყმომ ასეთი რამე ველარ გაბედონ?***

— 1989 წლის 9 აპრილს, აქციის დარბევისას, 21 ქართველი დაიღუპა, ასობით დაიჭრა და მოიწამლა. 1990 წლის 20 იანვარს ბაქოში დატრიალდა ტრაგედია, 1991 წლის იანვარში ვილნიუსის ტელეცენტრზე მოხდა თავდასხმა, სადაც ასევე დაიღუპნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა, აზერბაიჯანი და ლიტვა კვლავ სამართლებრივად, სახელმწიფო დონეზე დევნიან ყველა იმ პირს, რომლებსაც ამ სამხედრო დანაშაულში მონაწილეობა აქვთ მიღებული.

ბაქო და ვილნიუსი დევნიან მაშინდელ პარტიულ ბოსებს. საუბარია იმათზე, ვინც ცოცხალი დარჩა და ვისზეც ხელი მიუწვდებათ. მიმართავენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას, უყინავენ საბანკო ანგარიშებს, უზღუდავენ თავისუფლად გადაადგილებას და ა.შ. მათ გარდა, ლიტვა და აზერბაიჯანი დევნიან კონკრეტული სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელებს, იმ ოფიცრებს, რომლებიც მაშინ ამ სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ.

რამდენიმე წლის წინ ლიტვამ მოახერხა და დააკავა ერთ-ერთი რუსი ოფიცერი, რომელიც ვილნიუსში, ტელეცენტრის აღებისას ადამიანების ხოცვაში მონაწილეობდა.

ამ დანაშაულში მონაწილე ადამიანების მონაცემები გადაცემულია ინტერპოლს. მათი ძებნა წითელი ცირკულარით მიმდინარეობს. ამის გარდა, ცდილობენ, ეს დამნაშავეები თავად ჩაიგდონ ხელში. ისინი, ბუნებრივია, არც ლიტვასა და არც აზერბაიჯანში არ შედიან, მაგრამ ბაქო და ვილნიუსი მესამე ქვეყნების ტერიტორიებზე ცდილობენ მათ ხელში ჩაგდებას.



ზაზა ჭაია: „ოკუპანტებსა და მათ საყმოს ქართველების მკვლელობის სურვილი გავუჩინეთ“

აზერბაიჯანი და ლიტვა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან როგორც ეთნოკულტურითა და ეთნოფსიქოლოგიით, ასევე სახელმწიფო ფორმაციითა და განვითარების დონით. ამ დროს ისინი როგორ ერთსულოვნად და ერთი კუთხით უდგებიან თავიანთ ეროვნულ ტკივილს.

***— სამწუხაროა, რომ ჩვენ ჩვენს ეროვნულ ტკივილს ასე არ ვუდგებით.***

— საქართველო თავის ეროვნულ ტკივილს სულ სხვანაირად უდგება. 9 აპრილის სისხლიან დარბევაზე არაერთი გამოძიებაა ჩატარებული, დადგენილია კონკრეტული პირებიც, მაგრამ გაუგია ვინმეს, რომ მათზე სამართლებრივი დევნაა დაწყებული? ეს არც ადრე მომხდარა და არც ახლა ხდება. ბევრი დამნაშავე საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული.

ლიტვა და აზერბაიჯანი მხოლოდ ეთნიკურ რუსებს არ დევნიან. ისინი დევნიან იმ აზერბაიჯანელებსა და ლიტველებს, რომლებსაც ამ ტრაგედიებში აქვთ ხელი გასვრილი.

ჩვენ ამ წლების განმავლობაში უამრავი ტრაგედია გადავიტანეთ. რამდენიმე მათგანს გავიხსენებ. ესენია: მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის მკვლელობები; 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება; 1992-1993 წლებში აფხაზეთში ქართველთა გენოციდი – არაადამიანური მოპყრობა, მასობრივი მკვლელობები, ეთნოწმენდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში სამაჩაბლოშიც ჰქონდა ადგილი ქართველთა გენოციდსა და ეთნოწმენდას.

გამოძიებები ტარდებოდა, მაგრამ, გეკითხებით, გსმენიათ, რომ ვინმეს წინააღმდეგ დაეწყოს საქართველოს სახელმწიფოს სამართლებრივი დევნა?! ამ ტრაგედიებში მონაწილე პირების დიდი ნაწილი ცოცხალია და თავს მშვენივრად გრძნობს. ბევრი მათგანი ოკუპირებული ტერიტორიებიდან გასულია.

გსმენიათ, რომ ამ ადამიანებზე ძებნაა გამოცხადებული ან გაგიგიათ, რომ რომელიმე მათგანის ხელში ჩაგდებას ცდილობდა სახელმწიფო? მსგავსი არაფერი მომხდარა. 1989 წლის 9 აპრილს თავი დავანებოთ, ამ ტრაგედიის შემდეგ ათეულობით ათასი ქართველი იქნა მოკლული.

ჩვენ რომ სახელმწიფო ვიყოთ, სამხედრო დამნაშავეების დევნას უნდა ვახორციელებდეთ. დღესაც რომ მოგვიწიოს ყველაფრის ნულიდან დაწყება, ეს უნდა გავაკეთოთ.

ყველას უნდა მივუზღათ საკადრისი. ამის შემდეგ ვერავინ გაბედავს ქართველების ასე ხელაღებით ხოცვას. დღეს მათ ქართველების სიცოცხლე ჩირად არ უღირთ არც ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არც სხვაგან, იმიტომ, რომ ამ მტკივნეული თემისადმი საქართველო გულგრილობას იჩენს.

სახელმწიფოს დამოკიდებულება თუ იქნება მწვავე და რეაქციაც არ დააყოვნებს, გარწმუნებთ, საქართველოს მოქალაქეების დევნასა და ხოცვას ვერავინ გაბედავს. ავიღოთ ისრაელი. ისიც ჩვენსავით პატარა ქვეყანაა. ჯერ რა სიმაღლეებს მიაღწიეს და მერე ისრაელი თავისი არცერთი ჯარისკაცის, ოფიცრისა თუ მოქალაქის სიცოცხლეს არავის შეარჩენს, მათ შორის, მილიარდიან ერებს. ასევე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, თუ გვინდა, რომ ვიყოთ სახელმწიფო.

ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქეების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, ყველა სამხედრო დამნაშავე წარადგინოს სასამართლოს წინაშე, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი იმოქმედოს კანონის შესაბამისად.

სახელმწიფო თუ ამ ვალდებულებას არ ასრულებს, მაშინ ეს ახალისებს საქართველოს მტრებს საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ. ვიგინდარა რაშიდ კანჯიოღლის (გიგა ოთხოზორიას მკვლელი) თავისუფლად თარეშს რომ ვიტანთ, კარგს რას უნდა ველოდოთ? ის რომ ქართული სასამართლოს წინაშე წარგვედგინა, ვინ მოგვთხოვდა ამაზე პასუხს – რუსები თუ სეპარატისტები?!

***— თქვენ გამოხვედით ინიციატივით, რომ, ებრაელების მსგავსად, ქართველებმაც შევქმნათ ვიზენტალის ცენტრის მსგავსი ცენტრი.***

— თავის დროზე ებრაელებმა შექმნეს ვიზენტალის ცენტრი, რომელიც სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში იყო და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ეძებდა, აღმოაჩენდა და აღნუსხავდა ჰოლოკოსტსა და სამხედრო დანაშაულში მხილებულ ნაცისტებს. ხდებოდა ამ ადამიანების ექსტრადირება ისრაელში, სადაც მათ ასამართლებდნენ.

ებრაელთა გენოციდის ერთ-ერთი ავტორი, ადოლფ ეიხმანი, ისრაელის სპეცსამსახურებმა 1960 წელს ბუენოს აირესში დააკავეს და ისრაელში ჩაიყვანეს. ადგილობრივმა სასამართლომ მას ჩამოხრჩობა მიუსაჯა. მან ათეულობით ათასი ებრაელის დახოცვისთვის საკადრისი პასუხი მიიღო.

ებრაელების მსგავსად, ქართველებმაც უნდა შევქმნათ რაღაც ცენტრი, ფონდი, საზოგადოება, რომელიც 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, ქართველების

გენოციდში, ეთნოწმენდაში, მკვლელობებში, წამებაში დამნაშავეებს ყველგან აღმოაჩენს, აღნუსხავს და ცხოვრებას გაუმწარებს, როგორც მათ ჩვენი მოხუცები, ქალები და ბავშვები გაამწარეს!

# ვის კანდიდატურას დააყენებს „ოცნება“ ვანსა და ხონში — დავით ლორთქიფანიძის თუ ზურაბ ტყემალაძის?

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი, დავით ლორთქიფანიძე, „ახალ თაობასთან“ კომენტარს აკეთებს ზურაბ ტყემალაძის სურვილზე, გახდეს ვანისა და ხონის დეპუტატი.

*— ბატონო დავით, ვანისა და ხონის მაჟორიტარ დეპუტატობაზე დიდი კონკურსია. მოგეხსენებათ, მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსის დატოვებაზე დიდი წინააღმდეგობა იყო საზოგადოებისა და ოპოზიციის მხრიდან. მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ მაჟორიტარი დეპუტატი არაფერს აკეთებს, მას არავინ იცნობს. ვანისა და ხონის ოლქში კანდიდატად, მგონი, ტყემალაძე დაასახელეს. მართალია?*

— ტყუილია.

*— ითქვა, თითქოს „ქართული ოცნება“ ზურაბ ტყემალაძეს ასახელებს.*

— ტყემალაძეს უთქვამს, თუ „ქართული ოცნება“ წარმადგენს, ჩვენ უმრავლესობაში ვართ და მე თანახმა ვიქნებიო. მისი განცხადება სოციალურ ქსელში გავრცელდა.

*— ძალიან გამიკვირდა, როცა თქვეს, „ოცნებამ“ ვანისა და ხონის დეპუტატობის კანდიდატად ტყემალაძე დაასახელაო.*

— არა, ჯერ განხილვა არ ყოფილა. სურვილს ვერავის დაუშლი. მთავარია, ეს სურვილი რა საფუძველს ემყარება. მაჟორიტარობა არ არის ის უპირატესობა, რომ საიდანღაც ჩამოვარდეს მხარდაჭერა. მხარდაჭერა იმის მიხედვით გაქვს ადამიანს, რა გაგიკეთებია იმ ადამიანებისთვის, გიცხოვრია თუ არა იმ ადამიანების პრობლემებითა თუ სიხარულით.

*— როგორ უნდა მოხდეს მაჟორიტარის შერჩევა?*

— მაჟორიტარი დეპუტატი პროფესიონალი უნდა იყოს, დადასტურება უნდა ჰქონდეს. პოლიტიკაში გამოუცდელი არ უნდა იყოს. უნდა შეეძლოს სახელისუფლებო კარის თამამად შეღება. სამინისტროებში, მუნიციპალიტეტებში ამ პირს გულისყურით უნდა მოუსმინონ და რაღაცის გაკეთება უნდა მოახერხოს. მაჟორიტარის შერჩევა ძალიან სენსიტიური და სპეციფიკური თემაა.

*— წარსულში ვანსა და ხონს როგორი მაჟორიტარი დეპუტატები ჰყავდა?*

— ვანსა და ხონში ნაცმოძრაობას თავის დროზე სამი დეპუტატი ჰყავდა — ერთი მაჟორიტარი და ორი — პარტიული სიით, მაგრამ მე ვერ ვიხსენებ რომელიმე სერიოზულ პროექტს ინფრასტრუქტურულს ან სოფლის მეურნეობის, აგრარული მიმართულებით, რომ მათ იმით რომელიმე პრობლემა გადაეწყვიტოთ. პირიქით, საქმის გაფუჭებას არ ერიდებოდნენ. ეს არის სამწუხარო რეალობა. ის, რაც უნდა გაკეთებულიყო ვანში, მაგალითად, ცნობილი არქეოლოგიური მუზეუმის სახით, არაფერი გაუკეთებიათ, პირიქით, ისეთი ქმედებები ჩაიდინეს, რაც მის ნგრევას უწყობდა ხელს. ამ მუზეუმის აღდგენა ჩვენ გვიწევს.

გარდა ამისა, ვანის ცენტრში იყო უნიკალური მუზეუმი, მაგრამ ნაცმოძრაობის აქტივისტებმა დაანგრიეს, მოჭრეს ახალგაზრდა და საღი ნაძვის ხეები. ყოველივე ამაზე დეპუტატებს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ. მაშინ მათი ქმედებები ჩვენ გავაპროტესტეთ. მახსოვს, ნაცმოძრაობამ მოახერხა, რომ მოსახლეობას გაუყიდა 29 ჰექტარი საძოვარი. 1500-მდე ოჯახი (არა მარტო ქალაქის უბან სანეისოულში, არამედ მიმდებარე სოფლების (სალხინოსა და სხვა სოფლების მოსახლეობა) დაახლოებით 5 ათასამდე ადამიანი, რომლებსაც ჰყავთ პირუტყვი, საძოვრების გარეშე დარჩა.

*— თქვენ რომ მოხვედით ხელისუფლებაში, დაუბრუნეთ?*

— დიახ, მე მაშინვე ჩავერთე საკითხის მოგვარებაში, სასამართლო დავა გვქონდა არა მარტო იქ, არამედ თბილისში საქალაქო სასამართლოშიც. 2012 წლის სექტემბერში მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის განკარგულებით აღნიშნული მიწა მოსახლეობას დაუბრუნდა. სამაგიეროდ, შემდეგ წყალტუბოში წაართვეს მიწა.

*— ბატონო დავით, თქვენ ფეისბუქით გაავრცელეთ ხელისუფლების სიფხიზლისკენ მოწოდება, უგულავა არც ისე ადვილად დასამარცხებელი კანდიდატიაო, ანუ მოსახლეობას შეიძლება დაავიწყდეს ნაცების ნამოქმედარი და ისევ უგულავას მისცეს ხმა?*

— ეს არ იყო ჩემი მოწოდება. აღნიშნული პოსტი ჩემი მხარდამჭერის მოწოდება გახლდათ. მეც ვიზიარებ იმ პოსტის მოწოდებას. პოსტის ავტორი ამბობს, რომ უგულავა ნამდვილად არ არის იოლად დასამარცხებელი კანდიდატი. თუ მას არ უპირისპირდება შეუბღალავი წარსულით, პროფესიონალიზმით, ცნობადობითა და ქართული სულით დატვირთული კანდიდატი, ჩათვალეთ, რომ ძალიან გაუჭირდებათ დამარცხება.





მადლობელი ვარ, რომ ასეულობით ადამიანი ღიად აფიქსირებს ჩემს მხარდაჭერას არა მარტო ახლა, არამედ სხვა შემთხვევებშიც. ამიტომ დეპუტატობის კანდიდატის შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არ გაჭირდეს ამ არჩევნებში წარმატების მოპოვება.

*— თქვენ ხშირად საუბრობთ იმაზე, თუ როგორ იყავით ჩართული ვანში არსებული პრობლემების მოგვარებაში (იბრძოდით სკოლის გადარჩენისთვის, გზების გაკეთებისთვის და სხვადასხვა). ისაუბრეთ ასევე, როგორ უნდა იბრძოდეს მაჟორიტარი დეპუტატი რაიონის პრობლემების მოგვარებისთვის. ასეთ საკითხებს ადგილობრივი ხელისუფლება არ აგვარებს?*

— სტერეოტიპია (ცუდი გაგებით) დამკვიდრებული, არ არის საფუძველს მოკლებული. მაჟორიტარი დეპუტატის სიტყვა გადამწყვეტია.

*— როგორ?*

— გადამწყვეტია იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც მუნიციპალიტეტები არ არის თვითკმარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები. ისინი თავიანთ თავს ვერ ინახავენ. თავიანთი შემოსავლებით მუნიციპალიტეტები მოთხოვნის 10-15%-ს თუ იკმაყოფილებენ. პარლამენტის წევრი, მით უფრო, მაჟორიტარი, რომელიც განიხილავს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტს, წლის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს, კომიტეტების ფორმატში, უმრავლესობის ფორმატში განხილვების დროს, დეპუტატს ბევრად მეტი შემხებლობა აქვს და ახერხებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

*— რა სქემით ხდება ეს?*

— სქემა მარტივია. ადგილობრივი თვითმმართველობები ადგენენ იმ პროექტებს, პერსპექტივაში რა არის გასაკეთებელი. შემდეგ ეს პროექტები მოდის თბილისში დაფინანსებისთვის, ანუ დაფინანსების მიღწევაა აუცილებელი. ამ საკითხში მაჟორიტარის როლი განსაკუთრებულია. მიუხედავად იმისა, რომ მე მაჟორიტარი დეპუტატი არ ვიყავი, არ ჩამეთვლება უფლებამოსილების გადამეტებაში, თუ ვიტყვი, რომ აქტიურად ვიყავი ჩართული ამ პრობლემის მოგვარებაში, რადგან მაჟორიტარი დეპუტატი ნაციონალებიდან, ლეჟავა, პარლამენტში არ დადიოდა და მონაწილეობას როგორ მიიღებდა ამ საკითხების გადაწყვეტაში.

*— მეორე დეპუტატიც ხომ იყო, ხურციძე?*

— მე ჩვენი მოწვევის პარლამენტის წევრზე ვსაუბრობ. ხურციძე ჩვენი მოწვევის კი არა, ნაციონალების პარლამენტში იყო. ბოლო თვეებში ხურციძემ დატოვა ნაცმოძრაობა. მთელ იმ ბოროტებებში, რომლებიც გაკეთდა ნაცმოძრაობის დროს, ჩართული იყო ლეჟავა. „ახალი თაობაში“ გასულ ჩვენს წინა ინტერვიუში, სადაც საუბარი იყო თხილის გადამამუშავებელ ქარხანაში დეპუტატების ინტერესებზე, ხურციძეს იმ ინტერესებთან არანაირი შემხებლობა არ ჰქონია. იქ ლეჟავას ჰქონდა ინტერესები.

*— ბატონო დავით, შეიძლება, ტყემალაძეს განცხადება სრულიად უსაფუძვლოდ გაეკეთებინა? რაიმე საფუძველი ხომ არ აქვს ტყემალაძის განცხადებას? თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში მითხარით, ზოგიერთი ცდილობს, ნაცნობ-მეგობრების საშუალებით „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას ხმა მიაწვდინოს, რომ დეპუტატობის სახელისუფლებო კანდიდატად დასახელდესო. ტყემალაძეზე ხომ არ იყო საუბარი? ტყემალაძე ხომ არ ცდილობს და ხომ არ უგზავნის ხალხს, რომ დეპუტატების კანდიდატად დაასახელონ?*

— ჩვენ როცა ვისაუბრეთ ამ თემაზე, მე მაშინ ზურაბს არ ვგულისხმობდი. ბოლოდროინდელი განცხადება, რომელიც გახმოვანდა, არ ვიცი, საიდან მოდის, მაგრამ, ფაქტია, არ უარუყვია.

*— ე.ი. ბატონ ტყემალაძეს აქვს სურვილი, დეპუტატობის კანდიდატი იყოს?*

— რატომაც არა. პარლამენტში ვაკანსია გამოჩნდა და შეიძლება, აქვს სურვილი, პარლამენტში დაბრუნდეს. სურვილში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ...

*— მაგრამ, თქვენ რომ იცნობთ, ისე იცნობს ზურაბ ტყემალაძე ვანისა და ხონის რაიონსა და მის პრობლემებს?*

— არ, რა თქმა უნდა. საერთოდ, ვანთან კავშირი არასდროს გამიწყვეტია. კარგად ვიცი, რაიონში სად რა დევს, ვიცნობ რაიონის მთელ დენდროლოგიას, მაგრამ ეს საქართველოა. არ ვიცი, შეიძლება, ზურაბ ტყემალაძეს აქვს დეპუტატობის სურვილი, მაგრამ მე ასე ვიტყოდი: გადაწყვეტილების მიღების დროს თუ იქნება კონკრეტული მსჯელობა, მე კონკურენტი არ მეყოლება. ბატონ ზურაბს აქვს ინფორმაცია, წლების განმავლობაში მე როგორ ვიყავი და ვარ ჩართული ვანის პრობლემების მოგვარებაში და, აქედან გამომდინარე, თუ იმსჯელებენ, მე დამიჭერენ მხარს.

*— ბატონ ზურაბ ტყემალაძესთან ხომ არ ისაუბრეთ ამ თემაზე?*

— ბატონი ზურაბ ტყემალაძე დიდი ხანია არ მინახავს, მასთან ამ თემაზე არ მისაუბრია. საუბარი აქამდე თვითონ უნდა მოეხერხებინა, თუ ვანის დეპუტატობას აპირებს და ამის სურვილი აქვს. მე ვერ ვეტყვი, ძალიან მარტივი ლოგიკით, რა უნდა გააკეთოს.

*— ზურაბ ტყემალაძე თვითონ უნდა დაგიკავშირდეთ და დაგელაპარაკოთ?*

— ეგ მარტივია. როცა იცის ადამიანმა, რომ არსებობს პიროვნება, რომელიც მთელი ცხოვრება ამ რაიონის პრობლემებით არსებობს და ამაზე მუშაობს... არ დამიტოვებია პრობლემა რაიონში, რომ არ დამეყენებინა. 2012 წლიდან ვარ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების კეთებაში ვარ ჩაბმული.

# ეკატერინე მიქაბაძე: „დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილის საბოლოო დანაზოგი თვეში დაახლოებით 750 ლარია“



— 35 წლის ადამიანს, რომელსაც შეუძლია, 30 წლის განმავლობაში აგროვოს თანხა, თვეში დაახლოებით 750 ლარი ექნება დანაზოგი, თუმცა კანონით მას დაგროვება საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც შეუძლია განაგრძოს. ამას ემატება საბაზო პენსიაც და ჯამში ორივე ერთად შეადგენს თვეში დაახლოებით 945 ლარს. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ თანხის მსყიდველობითი უნარი მომავალში შენარჩუნდება, — ასე განმარტა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ეკატერინე მიქაბაძემ საპენსიო რეფორმის რეალური შედეგი რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო“ ლევან ქისტაურთან ერთად.

როგორც ეკატერინე მიქაბაძემ აღნიშნა, ყველასთვის ცნობილი სქემა: 2+2+2 მოდელში, რეალურად დასაქმებულისა და დამსაქმებლის კონტრიბუცია 1.6 %-ს შეადგენს, სახელმწიფოსი კი — 2.8 %-ს, რადგან საინვესტიციო შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

— დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო სრულად ინაწილებს პასუხისმგებელობას და შედეგად ვიღებთ იმ საპენსიო სისტემას, რომელიც უკვე კარგად არის აპრობირებული არაერთ ქვეყანაში. თუმცა ჩვენი რეფორმა აღსანიშნავია იმითაც, რომ საკმაოდ ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც მთავრობის კონტრიბუცია მსგავსი სახით არის განაწილებული. რეფორმა ჯამში მოიცავს სამ სვეტს: პირველი, ეს არის დღეს არსებული საბაზო პენსია, მეორე — დაგროვებითი სისტემა, მესამე სვეტი კი ნებაყოფლობითი იქნება. სწორედ სამივე ერთად მოგვცემს ეფექტიან საპენსიო სისტემას, — აღნიშნავს მიქაბაძე.

რაც შეეხება რეფორმის გატარების გამჭვირვალობას, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ განმარტა, მმართველობითი და საინვესტიციო მხარე ერთმანეთისგან სრულად არის გამიჯნული.

— იქნება ცალკე სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შესაბამისი პოლიტიკით იქნება დაკავებული და განახორციელებს საინვესტიციო აქტივობებს. მუშაობის შედეგად კი შეიქმნება საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. საბჭო იხელმძღვანელებს პრინციპებით, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის თითოეული მონაწილის მიერ დაგროვებული თანხის მაქსიმალური მოგების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნულ საინვესტიციო პოლიტიკას კი შეამოწმებს ეროვნული ბანკი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო, — აღნიშნა მიქაბაძემ.

მანვე დაგროვილი თანხის გატანის ალტერნატიულ გზებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, სისტემის მონაწილეს პენსიით სარგებლობის სამი გზა ექნება.

— პირველი ეს არის პროგრამული გატანა, როცა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მიხედვით მოხდება პენსიის გაცემა; მეორე — აუტენტით სარგებლობის შესაძლებლობა, როცა მოქალაქეს დაგროვებული რესურსის გადატანა სადაზღვევო კომპანიაში შეეძლება და უკვე დაზღვევის სახით შეეძლება პენსიის მიღებაც; მესამე კი — ერთიანი გატანის პრინციპი, რომელიც შეზღუდულია და შეეძლებათ ისარგებლონ, მაგალითად, შშმ პირებმა ან იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც დიდი თანხის დაგროვება ვერ შეძლეს, — განაცხადა მიქაბაძემ.

# დაუსაბუთებელი, შეკვეთილი, ცილისმწამებლური კამპანია ბიზნესმენ ბადრი წილოსანის წინააღმდეგ

## ვინ დგას ამ ყველაფრის უკან

ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ და რუსთავი 2-ის სატელევიზიო ანონსმა ვაგონმშენებელი კომპანიის მფლობელი ბადრი წილოსანი საზოგადოებას წარუდგინა, როგორც საშინელი მონსტრი, რომელმაც დიდძალი ქონება დააგროვა მუშა-მოსამსახურეების შევიწროებით, ადამიანებისათვის ქონების წართმევით, ყველა მთავრობის პირობებში ფულისა და გავლენის საშუალებით მხოლოდ მისთვის სასარგებლო გარიგებების დადებით. სტატიაში იგი ლამის საერთაშორისო მაფიოზური დაჯგუფების ხელმძღვანელად არის გამოყვანილი.

პატიოსანი მკითხველი, რომლისთვისაც უცნობია ბადრი წილოსანის პიროვნება და მისი შრომითი ბიოგრაფია, ამ აბსურდული ბრალდებებით გაჟღენთილი საგაზეთო სტატიის წაკითხვის შემდეგ, რა თქმა უნდა, უარყოფითად განეწყობა ბადრი წილოსანის მიმართ და შეიძლება იფიქროს კიდეც, თუ რატომ აგვიანებენ ასეთი კაცის სათანადოდ დასჯას.

იმისათვის, რომ ნათელი მოეფინოს, რატომ ააგორეს ასეთი ბინძური კამპანია და ვინ დგას ამ შეკვეთილი წერილების უკან, გადავწყვიტე, საზოგადოებას წარვუდგინო მთავარი „ბრალდებული" და პასუხი გავცე კითხვას – **ვინ არის ბადრი წილოსანი?**

მან შრომითი საქმიანობა 1974 წელს დაიწყო თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში. სამსახურებრივი კარიერის ყველა საფეხური გაიარა, იყო მუშა, საამქროს უფროსის მოადგილე, საამქროს უფროსი, მთ. ტექნოლოგიების განყოფილების ინჟინერ-ტექნოლოგი, წარმოების უფროსის მოადგილე კომერციულ დარგში, საფინანსო სამსახურის უფროსი, დირექტორი, გენერალური დირექტორი, ხოლო 2002 წლიდან ქარხნის მეპატრონე და ძირითადი აქციონერია.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდი ურთულეს დროს, გასული საუკუნის 90-იან წლებს დაემთხვა. თანამშრომლებისგან დაცლილი, ნედლეულისა და შეკვეთების გარეშე დარჩენილი გაძარცვული ქარხანა განადგურების პირას იყო. ბადრი წილოსანის ძალისხმევით ურთულესი კრიზისიდან გამოვიდნენ, ჩაატარა ქარხნის პრივატიზაცია, მოახდინა ტექნოლოგიური გადაიარაღება და სულ რამდენიმე წელიწადში წარმოება რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე და წარმატებული გახდა.

სწორედ ეს წარმატებული ქარხანა გახდა არაკეთილსინდისიერ ადამიანთა ჯგუფის სამიზნე, რომლებმაც ყველაზე უსინდისო ხერხებით მოახერხეს ქარხნის ხელში ჩაგდება და მოკლე ხანში გააკოტრეს კიდეც. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ წვრილად მოგახსენებთ. გაკოტრებული წარმოება კვლავ გამოისყიდა ბადრი წილოსანმა და უკვე მეორედ მოახერხა მისი რეაბილიტაცია.

ბადრი წილოსანი ყოველთვის ფიქრობდა ვაგონშეკეთებიდან ვაგონმშენებლობაზე გადასვლას. პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ორ ქვეყანას – რუსეთსა და უკრაინას ჰქონდა ვაგონმშენებლობის ნებართვა და ლიცენზიები, რომლის მოპოვებას ყაზახეთი, ბელორუსია, აზერბაიჯანი ჯერ კიდევ ცდილობენ.

ერთი შეხედვით განუხორციელებელი იდეა ბადრი წილოსანის მონდომებამ და დაუღალავმა შრომამ რეალობად აქცია. დღეს კომპანია აწარმოებს ნავთობის ვაგონცისტერნებს, ნახევარვაგონებს, ხორბალმზიდებს, ცემენტმზიდებს, კონტეინერებს, კონტეინერმზიდებსა და სხვა უამრავი დასახელების პროდუქციას.

პროფესიონალიზმი, წარმოების პროცესების სწორად მართვა, ორგანიზატორული ნიჭი, ნოვატორობა – ეს ერთი მთავარი მხარეა ბადრი წილოსანის პიროვნებისა. მას კიდევ უამრავი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, რომელთაგანაც მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ.

ქარხანასთან არსებული კულტურის სახლი, რომელიც იავარქმნილი და გაპარტახებული იყო, საყოველთაო ძალისხმევით თითქმის თავიდან ააშენა და დღეს თანამედროვე კულტურის სასახლე „არტ.ჰოლი" თბილისელებისთვის საყვარელი ადგილია.

ბადრი წილოსანი არის ქველი, ქრისტიანული რწმენისა და მაღალი სულიერების მატარებელი ადამიანი. მან ნაძალადევში – ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ხოლო გურიის რაიონში წმინდა ნინოს სახელობის მამათა მონასტერი ააშენა. ეკლესიათმშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საპატრიარქოს სიგელით დააჯილდოვა.

აქვს საქველმოქმედო ფონდი, რომელმაც 6 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა, ეხმარება ბავშვთა სახლებს, ხანდაზმულთა პანსიონატს, ლანჩხუთის უპოვართა სახლს, საბავშვო ბაღებს, სოციალურად დაუცველებს, ხელმოკლე ოჯახებს. ლანჩხუთის რაიონში ატარებს უფასო სამედიცინო გამოკვლევებს, უზრუნველყოფს საჭირო მედიკამენტებით, ეხმარება სკოლებს, წარჩინებულ მოსწავლეებს. მშობლიურ რაიონში სარგებლობს უდიდესი სიყვარულითა და ავტორიტეტით როგორც თავად, ასევე მისი ოჯახი. ამის დასტურია ლანჩხუთის რაიონის მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება და ნინო წილოსანის (ბადრის ქალიშვილი) მაჟორიტარ დეპუტატად არჩევა.

ბადრი წილოსანი არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისთვის", უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. არის „საპატიო რკინიგზელი", მიღებული აქვს ღირსების ორდენი. გამოკითხვების შედეგად ორჯერ არის დასახელებული და დაჯილდოებული, როგორც საუკეთესო ბიზნესმენი. აქვს ქართული, ტრადიციული ოჯახი, არის კარგი მეუღლე, საუკეთესო მამა და ბაბუა. მისი სამეგობრო წრე მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მინდა გამოვკვეთო უმთავრესი:

**– ბადრი წილოსანი არის კეთილსინდისიერი ბიზნესმენი, რომელმაც თავდადებული შრომით ორჯერ დააყენა ფეხზე გაკოტრებული წარმოება, საქართველოში დანერგა ვაგონმშენებლობა, სამეცნიერო წრეებში დაიმკვიდრა მაღალკვალიფიციური ინჟინრისა და გამომგონებელი მეცნიერის სახელი, რასაც ადასტურებენ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები. საერთაშორისო ბიზნესწრეებში სარგებლობს შეუბღალავი რეპუტაციით.**

მკითხველი აუცილებლად იკითხავს, თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ **ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც სკანდალურ და ბინძურ ინფორმაციულ ომს აწარმოებენ ბადრი წილოსანის წინააღმდეგ?**

როცა 2003 წელს ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, „ვარდების რევოლუციის" მღვრიე ტალღებმა ბევრი არაწესიერი და სხვის ქონებაზე მონადირე, ეგრეთ წოდებული ბიზნესმენი ამოატივტივა.

კომპანია „თი-ჯი თრეიდთან" დაკავშირებულმა პიროვნებამ, ავთანდილ საყვარელიძემ, ქარხანასთან ურთიერთობა ცოტა ადრე დაიწყო. საქართველოს სახელმწიფოს ჰქონდა თურქმენეთის ვალი, რისი გასტუმრებაც ფულადი ერთეულით არ შეეძლოთ, ამიტომ თურქმენეთს ვაგონების შეკეთება შესთავაზეს. ქარხანამ ეს შეკვეთა მიიღო „თი-ჯი თრეიდისგან", რომელსაც სახელმწიფოსგან შესყიდული ჰქონდა აღნიშნული ტენდერი. საწარმომ 2.500.000 დოლარის სამუშაო პირნათლად შეასრულა, ავთანდილ საყვარელიძემ (კომპანიის მაშინდელმა სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა) თანხა არ გადაიხადა და კომპანია წარმოების მევალედ ითვლებოდა.

სწორედ ეს ავთანდილ საყვარელიძე აღმოჩნდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული და მიტმასნილი პირი, რომელმაც, ბიზნესწრეებში გავრცელებული ინფორმაციით, დიდი მადა გამოიჩინა და ნაცვლად ვალის გადახდისა, აწყობილი წარმოების ხელში ჩაგდება მოინდომა. როგორც ჩვენთვის სხვადასხვა წყაროდან გახდა ცნობილი, თავდაპირველად იგი წილოსანთან მივიდა და თავხედურად შესთავაზა, გადაეცა ქარხანა მისთვის ნებით, თუ არადა, ძალით მაინც წაართმევდა. წილოსანის უარის შემდეგ ბადრი წილოსანი დააპატიმრეს და უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის შემდეგ, 2004 წლის აგვისტოში ციხეში სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადააცემინეს აქციები. შემდეგ ეს აქციები პირდაპირი მიყიდვის წესით შეღავათიან ფასებში გადასცეს „თი-ჯი თრეიდს".

ავთანდილ საყვარელიძემ, როგორც ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, თავის გუნდთან ერთად დაიწყო ქარხნის მართვა. ახალი ხელმძღვანელობა გამოირჩეოდა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. მხოლოდ გამდიდრებაზე ორიენტირებულები, შეგნებულად ძარცვავდნენ და აზიანებდნენ ქარხანას. მათ დაითხოვეს გამოცდილი და პროფესიონალი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, დიდი პერიოდის განმავლობაში არ გადაუხდიათ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასები. წარმოების პროცესების არასწორად წარმართვამ, ამბიციურ, დილეტანტთა ჯგუფის მიერ ცუდად დაგეგმილმა ღონისძიებებმა ქარხანა გაანადგურა. საწარმოს დაედო უზარმაზარი ვალი. სახელმწიფოსგან და რკინიგზისგან აღებულ უამრავ შეუსრულებელ შეკვეთას, რომელთა თანხებიც წინასწარ ჰქონდათ აღებული, დაემატა საბანკო სესხები და სამი წლის შემდეგ ეს ვალი გახდა 73 მილიონი ლარი, რომელიც უცხოურ ვალუტაში 50 მილიონ დოლარს შეადგენდა. ქარხნის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმე.

გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილებმა საქართველოს დატოვება განიზრახეს და გამოსავლის ძებნაში ისევ ბადრი წილოსანს მიმართეს და შესთავაზეს გაკოტრებული ქარხნის აქციების შესყიდვა. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ განსაზღვრა აქციების საბაზრო ღირებულება. ბადრი წილოსანმა ამ ღირებულებაზე მეტი თანხა გადაიხადა (ჩვენ მიერ მოპოვებულ იქნა აღნიშნული დასკვნა და საბანკო დოკუმენტაცია). ამის შემდეგ, ვფიქრობთ, რომ სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნების დახმარებითვე მოახერხა ავთანდილ საყვარელიძემ, დაეტოვებინა ქვეყანა. ამავე დროს, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოხდა 28 მილიონი ლარის ვალის აღიარება, რაც დაეკისრა „თი ჯი თრეიდს".

გავიდა დრო და ავთანდილ საყვარელიძემ ჩათვალა, რომ საქართველოში ჩამოსვლა და ახალი თაღლითური სქემით მოქმედება მისთვის სასარგებლო იქნებოდა, ამიტომ ჩამოვიდა და, როგორც „დაჩაგრულმა ბიზნესმენმა", სასამართლოს მიმართა. იგი ურცხვად ითხოვს ქარხნის აქციების 25 პროცენტის დაბრუნებას, ამასთან ერთად, თავის ჯგუფის წევრებთან ერთად ავრცელებს უამრავ ბინძურ ინფორმაციას, ეძებს და პოულობს ფულზე დახარბებულ, ოდესღაც ქარხნიდან წასულ ადამიანებს, რათა მათი სახელით მოხდეს აღნიშნული ინფორმაციების გავრცელება, მათ შორის, ერთი, ქარხნის ყოფილი თანამშრომელი, თათარაშვილი, იმდენად დაუჯერებელ და გაუგონარ ფაქტებზე საუბრობს, რომლის მოფიქრება უბრალოდ ნორმალურ ადამიანს არ შეუძლია, მხოლოდ ავადმყოფი ფსიქიკის ადამიანები იქცევიან ასე ამორალურად.



მათ ავადმყოფ ტვინში ისეთი გაუგონარი ბრალდებები მომწიფდა, რომლის მხოლოდ წაკითხვითაც კი მკითხველი საბოლოო დასკვნას გამოიტანს, რომ ამ ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობა ფსიქიატრიის სფეროს განეკუთვნება.

აბა, როგორ შეიძლება, ასეთი რამ ჯანმრთელმა ადამიანმა თქვას. მათ პროკურატურას მისწერეს წერილი, რომ თურმე 2008 წლის ომის დროს მოხდა ქარხნის დაბომბვა, დაიღუპა 30 ადამიანი, ამ ყველაფრის გაუხმაურებლობისთვის კი ბადრი წილოსანს მიუღია 30 მილიონი, ხოლო თათარაშვილმა ქარხნის დირექტორი, კრისტალურად სუფთა ადამიანი, საერთაშორისო ტერორიზმის ხელშემწყობად დაასახელა – თემა ასეთი იყო, მოსალოდნელი რუსეთ-ამერიკის ომის დროს გურამ რატიანის ხელშეწყობით სრულად განადგურდებოდა ნაძალადევის მოსახლეობა.

ავთანდილ საყვარელიძე და მისი გუნდი ეწევიან ქარხნის დისკრედიტაციას. ისინი წერილებს გზავნიან სხვადასხვა ქვეყანაში, რომ ვაგონმშენებელი კომპანია უხარისხოდ ასრულებს შეკვეთებს, ამიტომ უმჯობესია, არ ჰქონდეთ მასთან საქმიანი ურთიერთობა, გამომდინარე აქედან, ცდილობენ შეაფერხონ ქარხნის მუშაობა, ეს პროცესი კი გამოიწვევს ქვეყნის ბიუჯეტის შემცირებას რამდენიმე ათეული მილიონი ლარით, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ აღმავლობას.

**ამდენად, ეს უკვე აღარ არის დავა ორ კომპანიას შორის. ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა ქვეყნის ეკონომიკის, განვითარებისა და წინსვლის წინააღმდეგ. ეს არის შეფარული ბრძოლა ძველი ხელისუფლების ნარჩენებისა „თი ჯი თრეიდის" გამოყენებით მმართველ პარტიასთან, რისი დასტურიც არის „ქართული ოცნების" დეპუტატ ნინო წილოსანის დაუნდობელი ლანძღვა და ლაფში ამოსვრა.**

ყველა ამ ხერხითა და ვითომ მაკომპრომეტირებელი სტატიებით „თი ჯი თრეიდი" ცდილობს, წინასწარ შექმნას უარყოფითი ფონი ბადრი წილოსანის ირგვლივ, რაც, მათი აზრით, გავლენას იქონიებს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

ბადრი წილოსანს არ უყვარს სატელევიზიო გამოსვლები და ლაპარაკს საქმის კეთება ურჩევნია. ამ ძალზე უსიამოვნო სიტუაციიდან გამომდინარე, მან დაარღვია დუმილი და რამდენიმე სიტყვით გამოხატა თავისი დამოკიდებულება.

– დიდ პატივს ვცემ საქართველოში გამომავალ ყველა გაზეთს, – აღნიშნა მან, – სამწუხაროა, რომ ასეთ ცილისმწამებლურ სტატიებს დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე აქვეყნებენ. მართალია, კანონი ამის გაკეთებას მათ არ ავალდებულებს, მაგრამ, ხომ არსებობს სხვა, დაუწერელი ადამიანური კანონები, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, სანამ ხმალი მივიდოდა, ადამიანს სიტყვამ მოსჭრა თავი. საჭიროა ერთმანეთის გაფრთხილება.

ისინი, ვინც ხელს აწერენ ჩემ წინააღმდეგ შეთხზულ უამრავ ცრუ პასკვილს, მხოლოდ და მხოლოდ ბრმა იარაღად არიან გამოყენებული იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც რეალურად მებრძვიან. მათ არ ჰყოფნით ვაჟკაცობა, ღიად და გაბედულად დამიპირისპირდნენ, რადგან იციან, მართალ კაცთან ყველა ბრძოლა წაგებული აქვთ.

მინდა იცოდნენ, როგორც არ უნდა ამოსვარონ ლაფში ჩემი სახელი, შებღალონ ქარხნის საერთაშორისო ავტორიტეტი, იერიში მიიტანონ ჩემს ოჯახზე, მდგომარეობიდან ვერ გამომიყვანენ. არასდროს ჩავაგდებ ქარხანას ავაზაკების ხელში.

მტყუან-მართალი თემიდას სასწორზე იწონება. მე მჯერა ჩვენი სასამართლოს დამოუკიდებლობის და სამართლიან ვერდიქტს ველოდები.

**ია ქუთათელაძე**

# სარესტორნო ბიზნესის მთავარი გამოწვევა მომსახურების ხარისხია

დღეს სარესტორნო ბიზნესი საქართველოში სწრაფად განვითარებადი სფეროა, თუმცა, მიუხედავად ასეთი მზარდი ტრენდისა, მომსახურების პრობლემა მაინც მთავარ გამოწვევად რჩება.

რატომ დგას ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ სერვისი და ხარისხი? რა შეიძლება რესტორნის დახურვის მიზეზი გახდეს და რა უნდა გააკეთოს რესტორატორმა საკუთარი ნიშის მოპოვებისთვის? „კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად თავად რესტორატორებს დაუკავშირდა.



როგორც გამოკითხულთა უმრავლესობამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ყოველწლიურად იზრდება რესტორნების რაოდენობა, ამის პარალელურად კი სერვისი მაინც ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებს, ამიტომ შესაბამისი მომსახურების რესტორანი თბილისში სულ რამდენიმეა.

მათივე თქმით, როგორც წესი, ტურისტები აღნიშნულზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას, რაც ჩვენი ქვეყნის რეპუტაციაზე უარყოფითად აისახება.

– ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა დგას აღნიშნული მიმართულებით, თუმცა ბოლო ორი წელი იყო განსაკუთრებით პოზიტიური სარესტორნო ბიზნესში, მომსახურება და სერვისი მაინც მთავარი გამოწვევაა. გარდა ამისა, პრობლემაა ზოგადად კულინარიაშიც, რომელსაც აშკარად განვითარება სჭირდება.

დღეს ბაზარზე სულ რამდენიმე რესტორანია, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. ზოგადად ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი სარესტორნო ბიზნესის ვითარებაზეც აისახება, ტურისტები კი ხშირად უკმაყოფილო რჩებიან, – აღნიშნავს „რესტორატორთა ასოციაციის“ წარმომადგენელი ქეთევან კვიჭიძე.

ადგილობრივ ბაზარზე მომსახურების პრობლემა რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, ამ მოსაზრებას იზიარებს „ქართული სახლის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი თამარ მათიკაშვილიც.

– ჩვენ მუდმივად განვითარებაზე ვართ ორიენტირებულნი, ვცდილობთ სიახლეების შემოტანასაც, რასაც ხშირად მომხმარებელი სკეპტიკურად ხვდება, ამიტომაც შეიძლება, მოგება ისეთი არ გვქონდეს, როგორც შედარებით დაბალი ან საშუალო დონის კომერციულ რესტორნებს.

ზოგადად, სერიოზული პრობლემა დგას კვალიფიცირებული კადრების თვალსაზრისითაც, ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩვენივე ბაზაზე შეგვექმნა სასწავლო ცენტრი, სადაც თანამშრომელი რამდენიმეთვიან ტრენინგს გადის და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მუშაობს, – აღნიშნავს მათიკაშვილი.

როგორც თამარ მათიკაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სარესტორნო ბიზნესი საკმაოდ რისკიანია, ამიტომ დამწყები ბიზნესმენი ნებისმიერი გამოწვევისთვის მზად უნდა იყოს.

– როცა ამ ბიზნესს იწყებ, უდიდესი ცოდნა გჭირდება. უნდა განსაზღვრო ისიც კი, არენდის აღება ჯობია თუ შენობის აშენება. რადგან რისკები დიდია, ალბათ დამწყებისთვის გონივრულ ფასში მაინც არენდა ჯობია.

ასევე თავიდანვე უნდა განსაზღვრო ვინ არის შენი სამიზნე სეგმენტი და გათვალო საფასო პოლიტიკაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი მაგალითია იმისა, როგორ გაიხსნა რესტორანი და როგორ დაიხურა ორ წელიწადში, – განმარტავს მათიკაშვილი.

თამარ მათიკაშვილის მოსაზრებას ეთანხმება „ანტრე ბატონის“ მთავარი მენეჯერი თინათინ მაჭავარიანი. მისი თქმით, რესტორანი ნამდვილად სარისკო ბიზნესია, ამიტომ უმჯობესია, თუ რესტორატორი მომხმარებელში მოპოვებულ ნდობას არ უღალატებს.

– ჩვენ უკვე 14 წელია, რაც ბაზარზე ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესტორანი გარეუბანში მდებარეობს, მომხმარებელი სულ გვყავს, მხოლოდ – ადგილობრივი, ტურისტი – ნაკლებად.

ბოლო პერიოდში, მომგებიანობის თვალსაზრისით არცთუ სახარბიელო სიტუაცია გაქვს, თუმცა თავს მაინც ვართმევთ. ვფიქრობ, სარესტორნო ბიზნესში მთავარი მაინც ხარისხი და შესაბამისი მომსახურებაა. კარგი იქნება, ამ სტანდარტს ბევრი რესტორანი თუ დააკმაყოფილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის, – აღნიშნავს მაჭავარიანი.

დღეს ადგილობრივი სარესტორნო ბიზნესი რომ განვითარების პროცესშია და კიდევ ბევრი ეტაპი დარჩა გასავლელი, ამ ფაქტს აღნიშნავს „ვენდისის“ გენერალური მენეჯერი თეონა ქართველიშვილიც. გარდა იმისა, რომ მომსახურება მთავარი გამოწვევაა, მან ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაზეც გაამახვილა ყურადღება.

– ზოგადად რთულია ბაზარზე ადგილის დამკვიდრება, ამიტომ კარგია, თუ მომხმარებელს ადეკვატურ მომსახურებასა და ხარისხს სთავაზობ. ამ შემთხვევაში ალბათ უფრო სტაბილურად იქნები.

აქვე აღვნიშნავ იმას, რომ ადგილობრივი მომხმარებელი საკმაოდ სპეციფიკურია. ის რთულად ეგუება ნებისმიერ სიახლეს და მისი გემოვნებაც განსხვავებულია, რაც გასათვალისწინებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ბრენდი მოგებაზე ვერ გავიდეს, – აღნიშნავს თეონა ქართველიშვილი.

# დატერორებული თბილისის მცხოვრები, ანუ რას აკეთებს მერიის ზოგიერთი სამსახური

## ბატონი კახა კალაძისა და ბატონი ირაკლი ხმალაძის საყურადღებოდ! ნუთუ კორუფცია იკიდებს ფეხს თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურში?!

თბილისის ჭავჭავაძის გამზირის №33-ში მდებარე 16-სართულიანი კორპუსის ყველა მცხოვრები სასიცოცხლო საფრთხის ქვეშ დგას – კორპუსის მიმდებარედ, ერთი ხელის გაწვდენაზე, ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დარღვევით შენდება 22-სართულიანი (სიმაღლით 76 მეტრზე მეტი) საცხოვრებელი სახლი.

გარდა იმისა, რომ ეს იწვევს მშენებლობის მხარეს მდებარე ბინების აბსოლუტურ დაბნელებას (ვინაიდან მათ სხვა მხარეს განათება არ აქვთ და ასეთი 25 ბინაა), მცხოვრებლებისათვის სასიცოცხლოდ საშიში, კერძოდ, 76 მ სიმაღლის კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს რაიონის გაზგამანაწილებელზე მიბჯენით, რომლის ავარიის შემთხვევაში მოხდება კორპუსის მთლიანი ნგრევა, რაც ქვეშ მოიყოლებს ჩვენს 16-სართულიან კორპუსს, მიმდებარე თურქეთის საელჩოსა და მე-9 საავადმყოფოს. ასეთი კატასტროფის წარმოდგენაც კი საშინელებაა.

არადა, გაზგამანაწილებლის აფეთქების შედეგად მასთან მდებარე კორპუსის სრულად ნგრევის პრეცედენტი თბილისს წლების წინ ჰქონდა.

მშენებარე კორპუსი, რომელიც ჩაკვეხებულის შთაბეჭდილებას ტოვებს თურქეთის საელჩოს, მე-9 საავადმყოფოსა და ჩვენს საცხოვრებელ სახლს შორის, შენდება ყოფილი სტადიონისა და სკვერის ტერიტორიაზე, სადაც ახალი ინფრასტრუქტურისა და გამწვანებისათვის ტერიტორიის ნასახიც არაა, შეუძლებელია რაიმე სახის სახანძრო პირობების დაცვა.

გარდა იმისა, რომ უსახური პროექტია და არავითარი სივრცითი შეხედულება არ აქვს, წარმოუდგენელ საცობებს შექმნის ახლადგამოყვანილ სამანქანო გზაზე – ზ.ავალიშვილის ქუჩაზე ჭავჭავაძის პროსპექტის გადაკვეთასთან.

ეს ყველაფერი ცნობილია და ცნობილი იყო მერიის ხელმძღვანელობისთვის. მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო გ.უგულავას მერობის ბოლო პერიოდში. შემდგომ, ჩვენი პროტესტისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად, მშენებლობა შეჩერებული იყო იმავე ბატონი გ.უგულავას, ბატონი დ.ნარმანიასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონი კ.კალაძის პერიოდშიც.

სამწუხაროა და გაკვირვებას იწვევს ის, რომ ამა წლის პირველი თებერვლიდან მშენებლობის განახლების გადაწყვეტილება მიიღო მერიის არქიტექტურულმა სამსახურმა, თუმცა მშენებლობის ნორმატივებში მოყვანისა და მცხოვრებთა უსაფრთხოებისთვის არაფერი გაკეთებულა, ეს მაშინ, როცა თვით მერია თავისი 2014 წლის პირველი ოქტომბრის №01/02/124 წერილით აღიარებს სამშენებლო ნორმების, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო წესებისა და გაზგამანაწილებელი პუნქტის უსაფრთხოების დარღვევას.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ასეთ ქმედებას არქიტექტურული სამსახური, თავისი წარმომადგენლის, იურისტ არჩვაძის მეშვეობით ხსნის ასე: უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო, ასევე სხვა ნორმატივების წესრიგში მოყვანა მოხდეს კორპუსის აშენების შემდეგ. ეს, პრაქტიკულად, განუხორციელებელი იქნება, ხოლო ასეთი პასუხი ტიპური კორუმპირებული და საქმის არმცოდნე ჩინოვნიკის პასუხია.

აღნიშნულ მშენებლობას ახორციელებს შპს „მოყვასი“, რომელთაც დანაშაულებრივი გზით მოახერხეს ვაკეში სტადიონისა და სკვერის შესყიდვა, მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების სრული განადგურება, არქიტექტურულ სამსახურთან პროექტის შეთანხმება, მიუხედავად სასამართლოს სამივე ინსტანციის უარყოფითი გადაწყვეტილებისა, მერიის სამსახურთან K-2-ის ნორმატივის გაზრდა და ბოლოს, ამა წლის პირველი თებერვლიდან მშენებლობის ნებართვის მიღება და საფრთხის შემცველი მშენებლობის განახლება ისე, რომ მშენებლობის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკა განლაგებული იყოს ტრანსპორტის სამოძრაო ქუჩაზე, ვინაიდან მათ წითელი ხაზები სრულად აქვთ ათვისებული მხოლოდ კორპუსის აშენებისთვის, რაც ქმნის მუდმივ საცობებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ დაზიანებებზე, რომლებიც ასეთი მშენებლობის შედეგად მიღებული აქვს ჩვენს საცხოვრებელ ბინებს.

მერიის ხელმძღვანელობას შევახსენებთ, რომ მოსახლეობის უსაფრთხოდ ცხოვრების უფლება კონსტიტუციითაა დაკანონებული, ხოლო აქსიომაა და არქიტექტურის სამსახურმა მშვენივრად იცის, რომ არც პროექტი უნდა მტკიცდებოდეს და, შესაბამისად, არც მშენებლობა ხორციელდებოდეს უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო საკითხების, სხივების გადაკვეთის დადგენილი ნორმების დაცვის გარეშე.

მერიის დღევანდელ ხელმძღვანელობას ვთხოვთ, სანამ აღნიშნული მშენებლობა საბოლოოდ არ ამოსულა გათხრილი საძირკვლიდან მიწის პირამდე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს ეს ზიანის მომტანი მშენებლობა.

იმედს ვიტოვებთ, მერიის ხელმძღვანელობა დროულად გამოგვეხმაურება, შეგვხვდება მოსახლეობას და გაატარებს ქალაქისთვის საჭირო ღონისძიებებს.

**ი.ჭავჭავაძის გამზირის №33 კორპუსის მცხოვრებლები**

# როგორ გამოიყურებოდა თბილისის ტრამვაი და გახდება თუ არა მისი აღდგენა ახალი მერისთვის აქტუალური?

ე.წ. კონკა ერთადერთი ვაგონია, რომელიც თბილისის ტრამვაის ქსელიდან დარჩა. კონკა ამჟამად ავჭალაში, ყოფილი დეპოს ტერიტორიასთან ახლოს, სასაფლაოს გვერდით, ღია ცის ქვეშ დგას. თბილისის ქუჩებში ტრამვაიმ ბოლოს 2006 წელს გაიარა.



თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც თითქმის დასრულებულია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებულ სისტემაში ტრამვაის ქსელის აღდგენასაც გულისხმობს.

– თუ შევძლებთ, რომ ავტომობილები არ ვატაროთ ვერცხლის ქუჩაზე, რადგან ისედაც ამორტიზებული შენობებია და თავზე გვენგრევა და აქ ტრამვაის ხაზი გავიყვანოთ, სადაც შესაძლებელია, კარგი იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტს უნდა გადაეცეს ის საშუალებები, რომლებიც დღეს არ გააჩნია. ჩვენ პირდაპირ არ ჩაგვიწერია, რომ აუცილებლად ტრამვაი იგულისხმება, შესაძლოა თავიდან ეს იყოს ჩქაროსნული ავტობუსი, შემდეგ კი იყოს ტრამვაი, რასაც მივესალმებით, რადგან ეს არის ეკოლოგიურად სუფთა და ძალიან კარგად გადამზიდავი ტრანსპორტი, – ამბობს სითი ინსტიტუტ საქართველოს დირექტორი მამუკა სალუქვაძე რადიო თავისუფლებასთან.

ტრამვაის განახლებას მხარს უჭერდა ყოფილი მერი დავით ნარმანიაც. 2017 წლის ზაფხულში ნარმანიამ აღნიშნა, რომ ტრამვაის საკითხი უახლოეს მომავალში აქტუალური გახდებოდა.

– რასაკვირველია, ჩვენ მივესალმებით გენერალური გეგმის ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ ერთ-ერთ ინიციატივას ტრანსპორტის ნაწილში ტრამვაის აღდგენასთან დაკავშირებით. ეს საკმაოდ შრომატევადი, ინვესტიციატევადი საქმეა, თუმცა, სამომავლოდ აუცილებლად იქნება განხილული, როცა ავტობუსების პროექტი, რომელიც პირველი ეტაპის მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა იქნება მოგვარებული, ამის შემდეგ დადგება დრო, როცა ტრამვაის პროექტი აქტუალური გახდება. პროექტი, რომელიც მომზადებულია, მინიმუმ 130 მილიონ ევროს საჭიროებს, ამიტომ ჩვენ ცოტა მოგვიანებით დავიწყებთ ამ პროექტის განხილვას, ალბათ, 2-3 წლის შემდეგ, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

რას ფიქრობს აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის ამჟამინდელი მერი და რა გადაწყვეტილებას მიიღებს დედაქალაქის მთავრობა, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ცნობისთვის, თბილისის ტრამვაის ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება, როდესაც 1883 წელს ქალაქში ცხენებშებმული სარკინიგზო ტრანსპორტი, ე.წ. კონკა გამოჩნდა. მისი პირველი ხაზი მიხეილის გამზირზე (აღმაშენებლის ქუჩა) გადიოდა და ერთმანეთთან ვორონცოვის მოედანსა (ზაარბრიუკენის მოედანი) და რკინიგზის სადგურს აკავშირებდა. 1904 წელს კონკა ელექტროტრამვაიმ შეცვალა. მარშრუტიც ერევანსკის მოედნამდე (თავისუფლების მოედანი) გააგრძელეს და ტრამვაის ხაზი კირხნის ქუჩამდე (მარჯანიშვილის ქუჩა) გაიყვანეს.

**კომერსანტი**

# 29 წლის ბიჭი, რომელმაც პირველი ქართული კრიპტოვალუტა შექმნა

ოქროს საწმისი არა მხოლოდ მითიური კოლხეთის ისტორიის ნაწილი, არამედ 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური მიღწევების გამოძახილი, პირველი კრიპტოვალუტაა, რომელიც ქართველებმა შექმნეს.




ავტორები 29 წლის ვახტანგ გოგოხია და მისი პარტნიორები არიან, რომლებიც კრიპტოვალუტის მაინინგს ანუ მოპოვებას უკვე მეორე წელია ეწევიან. აღნიშნული საქმიანობისთვის მათ დატა ცენტრები კახეთში, თბილისსა და ქუთაისში ააშენეს, სამომავლოდ კი კრიპტოვალუტის მაინინგის დაწყებას ფოთშიც გეგმავენ.

ოქროს საწმისი ლეგენდარულ ოქროს საწმისზე არანაკლებ რთული მოსაპოვებელია ბლოკჩეინის დაცული და რთული ტექნოლოგიის გამო, თუმცა, როგორც ვახტანგ გოგოხია ფიქრობს, აღნიშნული პროცესები გამარტივებისკენ მიდის, შესაბამისად, კრიპტოვალუტა მომავლის ფულია, რომლის დამკვიდრებაც გარდაუვალი იქნება.

ქართული კრიპტოვალუტის ფასი დაახლოებით 5-10 ცენტია.

როგორც ვახტანგ გოგოხია იხსენებს, კრიპტოვალუტით დაინტერესების შემდეგ მაინინგი მეგობრებთან ერთად დაიწყო, გასული წლის აგვისტოში კი კომპანია და ქართული კრიპტოვალუტა „ოქროს საწმისი“ შექმნა. სახელწოდება იასონის მიერ ოქროს საწმისი მოპოვების ისტორიასა და ზოგადად მაინინგს ანუ მოპოვებას უკავშირდება.

გვინდოდა, სახელი ვალუტასთან, ოქროს მოპოვებასა და საქართველოს ისტორიასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ოქროს საწმისის იდეა მოგვეწონა და ჩვენი კრიპტოვალუტის სახელად გამოვიყენეთ. ოქროს არა, მაგრამ კრიპტოვალუტას მოვიპოვებთ, – ამბობს გოგოხია.

საქართველოში ოქროს საწმისი სხვა კრიპტოვალუტებთან შედარებით ნაკლებად მოთხოვნადია.

# „ჩქარა მიპასუხე, ჩქარა“ — რა მისწერა ლადო გრიგალაშვილმა ბმვ-ს მძღოლს

## ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები გაირკვა

თემქაზე 20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობა კვლავ რჩება საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

24 თებერვალს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის ადვოკატის განცხადებას გამოეხმაურა.

მისი თქმით, ადვოკატ ნაირა ოტიაშვილის მხრიდან ანა ნაცვლიშვილის პირადი ცხოვრების დეტალების საჯაროდ გავრცელება მიუღებელია. აღნიშნული არ შეესაბამება ადვოკატის როლსა და საქმიანობის პრინციპებს.

— ყველანი შეძრწუნებულნი ვართ გოგონას სასტიკი მკვლელობით. ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდის გახშირებული შემთხვევები უკვე ურთულეს პრობლემად გვექცა, რაზეც სასწრაფო რეაგირებაა საჭირო როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან.

ორმაგად მტკივნეულია ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მსხვერპლის პირადი ცხოვრების დეტალების საჯაროდ გავრცელება მოხდა ადვოკატის მხრიდან, რაც მიუღებელია და არ შეესაბამება ადვოკატის როლსა და საქმიანობის პრინციპებს.

ადვოკატს, კლიენტის ინტერესების დაცვის გარდა, გააჩნია განსაკუთრებული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ხარისხიან მართლმსაჯულებაზე, რაც ასევე გულისხმობს ადამიანის პირადი ცხოვრების ფუნდამენტური უფლების მკაცრად დაცვასაც, მით უფრო მაშინ, როდესაც გარდაცვლილის შელახული პირადი უფლების აღდგენა ვერ განხორციელდება.

ქართველ ადვოკატთა უმრავლესობა თავდადებით შრომობს მოქალაქეთა დასაცავად და სწორად ესმის საკუთარი როლი, თუმცა, სამწუხაროდ, არის გამონაკლისი შემთხვევები და შეცდომები, ხანდახან მძიმეც, რაც გულწრფელად მაშფოთებს. ადვოკატთა ასოციაცია მოახდენს ადეკვატურ რეაგირებას, რათა გამოირიცხოს მსგავსი ფაქტები, — აღნიშნა დავით ასათიანმა.

იმავე დღეს ნაირა ოტიაშვილი ამ განცხადებას გამოეხმაურა. მან „ნიუპოსტს“ უთხრა, რომ „ძალიან კორექტულად გაავრცელა საქმეში არსებული დეტალი“.

— ჩემი განცხადება არ იყო დეტალური, ზოგადი განცხადება გავაკეთე, არავის უფლება მე არ დამირღვევია. ჟურნალისტებისთვის მე დეტალური ინფორმაცია არ მიმიცია. რაც შეეხება მესამე პირს, ეს საქმის მასალებიდან გამომდინარე ვთქვი, — აღნიშნა ადვოკატმა.

მას გაუკვირდა, რატომ არის ინტიმური ურთიერთობა სალანძღავი სიტყვა.

— საერთოდ, სიტყვა ინტიმი სულაც არ არის სალანძღავი სიტყვა, სავარაუდოდ, არასწორად ესმის ხალხს. ეს აბსოლუტურად ცივილიზებული ფორმაა რაიმე ურთიერთობის გამოხატვისას. სულაც არ არის სავალდებულო, ამას ქვეტექსტები დავუდოთ, — აღნიშნა იურისტმა.

მისი თქმით, საქმეში „ბევრი სკანდალური დეტალია“, რაზეც ვერ ისაუბრებს.

ადვოკატის განმარტებით, საქმეში შავი ფერის ბმვ-ს მარკის ავტომობილის მძღოლი ფიგურირებს, რომელთანაც 20 წლის გოგონას ინტიმური კავშირი ჰქონდა. თუმცა რა კავშირი აქვს ამ საკითხს ნაცვლიშვილის მკვლელობასთან, ამაზე ადვოკატს არ უსაუბრია.

ანა ნაცვლიშვილის საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა ბმვ-ს მძღოლი. მისი ადვოკატი რამაზ ჩინჩალაძე ადასტურებს, რომ მისი კლიენტი და მკვლელობაში ბრალდებული ლადო გრიგალაშვილი მეზობლები და ნაცნობები იყვნენ.



რამაზ ჩინჩალაძე „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ აღნიშნული პირი მოკლულ ანა ნაცვლიშვილსაც იცნობდა, თუმცა მასთან არანაირი კომუნიკაცია არასდროს ჰქონია.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ გამოძიება მისი კლიენტით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაირკვა, რომ მკვლელობის დღეს, 06:19 საათზე, ლადო გრიგალაშვილმა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა: „ჩქარა მიპასუხე, ჩქარა“.

გარდა ამისა, ადვოკატი ამბობს, რომ მისი კლიენტი ნაირა ოტიაშვილის მიერ ნახსენები ბმვ-ს მძღოლი არ არის.

— როგორც გაირკვა და როგორც ეს ქალბატონმა ნაირა ოტიაშვილმა არაერთხელ დამიდასტურა, ისინი სულ სხვა ბმვ-ს მარკის მძღოლზე საუბრობენ. იმ დროს, როცა გოგონა მოკლეს, ის სახლში იმყოფებოდა და ეძინა.

ვადასტურებ თქვენ მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და ბრალდებული ერთმანეთს იცნობდნენ. როგორც თვითონ ამბობს, ახლო, მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია.

დილის საათებში ბრალდებულმა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს მისწერა: „ჩქარა მიპასუხე, ჩქარა“. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ეს მოკლე ტექსტური შეტყობინება არ უნახავს და არც ზარები გაუგია. ამის შემდეგ ბრალდებულმა სახლში მიაკითხა ჩემს კლიენტს, გააღვიძა და სთხოვა, შეყვარებულის მოძებნაში დახმარებოდა. იგივე დახმარება სთხოვა ბრალდებულმა სხვა პირსაც. ამის შემდეგ ეს პირები ანა ნაცვლიშვილის მოსაძებნად გაემართნენ. რაღაც მონაკვეთში შეიძლება მანქანით გაიარეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მაქვს, — განაცხადა რამაზ ჩინჩალაძე.

მისი თქმით, მოწმის სტატუსით დაკითხული პირი ანა ნაცვლიშვილს იცნობდა, თუმცა ისინი მეგობრები არ იყვნენ.

— სოციალური ქსელის მეგობრები იყვნენ, თუმცა არც სოცქსელში და არც პირადად მოკლულთან კომუნიკაცია არ ჰქონია, — განაცხადა ადვოკატმა.

ყელგამოჭრილი ანა ნაცვლიშვილის ცხედარი ახლობლებმა თემქაზე 22 თებერვალს იპოვეს. გოგონას 7 ჭრილობა აღენიშნებოდა. საზარელი დანაშაულისთვის მისი შეყვარებული ლადო გრიგალაშვილი იმავე საღამოს დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, ლადო გრიგალაშვილმა შეყვარებულის მკვლელობა აღიარა, თუმცა ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ მან დუმილის უფლებით ისარგებლა.

# ვალერი შუხოშვილს მუცლიდან დანა ცოლმა გამოაძრო

## ახალგაზრდა მამაკაცი ვარკეთილში დაიღუპა




პოლიცია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით იძიებს 24 წლის ვალერი შუხოშვილის გარდაცვალების ფაქტს.

ახალგაზრდა მამაკაცი ვარკეთილში მდებარე სამხედრო დასახლებაში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, 22 თებერვალს დაიღუპა. სასიკვდილო ჭრილობა მას მუცლის არეში აქვს მიყენებული.

არსებული ინფორმაციით, საცხოვრებელ სახლში ვალერი შუხოშვილი, მისი მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი იმყოფებოდნენ. მეუღლის მონათხრობის მიხედვით, ვალერი შუხოშვილი დანით თამაშობდა და მუცლის არეში შემთხვევით დაირტყა.

გარდაცვლილის მეგობრებს ამ ვერსიის არ სჯერათ. მათი ინფორმაციით, ცოლ-ქმარს ბოლო პერიოდში დაძაბული ურთიერთობა და ხშირად კონფლიქტი ჰქონდათ.

მათივე ცნობით, ცოლი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ვალერი დაიჭრა, მუცლიდან დანა მან გამოაძრო, რის შემდეგაც დახმარების მიზნით პირველად საკუთარ ძმას დაურეკა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მისვლისას ახალგაზრდა უკვე გარდაცვლილი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში „რეგინფოს“ განუცხადეს, რომ ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა და გამოძიება ექსპერტიზის პასუხს ელოდება. საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე პირი კი უკვე დაკითხულია.

ვალერი შუხოშვილი წარმოშობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბნიდან იყო.

# ქუთაისში თურქეთის მოქალაქემ 15 წლის მეუღლე დანით დასერა

ქუთაისში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ არასრულწლოვან, 15 წლის მეუღლეს ბასრი საგნით გულმკერდის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცავებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ნიადაგზე, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პრიმა – 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 126-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს.

დაზარალებული ასევე თურქეთის მოქალაქეა.

# რუსთავში, რუსთაველის ქუჩაზე, ხელყუმბარა იპოვეს



გუშინ, 25 თებერვალს, რუსთავში ხელყუმბარა აღმოაჩინეს. ის რუსთაველის ქუჩის 26 ნომერი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბორდიურზე იპოვეს. ხელყუმბარა ერთ-ერთმა ადგილობრივმა შენიშნა და 112-ში დარეკა.

ადგილზე გამნაღმველები და ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

„ინფო რუსთავს“ შსს-ში განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება დაწყებულია. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით აღიძრა, რაც იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

# ზაურ კორაშვილი ჯერ შვილმა და რძალმა ცემეს, მერე მანქანამ გაიტანა და მოკლა




68 წლის ზაურ კორაშვილი ჯერ ძალადობის, შემდეგ კი ავტოავარიის მსხვერპლი გახდა.

შემთხვევა გასულ კვირას სოფელ შილდაში მოხდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცს საკუთარი შვილი და რძალი ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის გამოც მისი ყვარლის საავადმყოფოში მოთავსება გახდა საჭირო.

ექიმების ჩარევის შემდეგ იგი გამოკითხვაზე შს ყვარლის პოლიციის რაიონულ სამმართველოში გადაიყვანეს, საიდანაც უკვე სახლში ბრუნდებოდა და ქვეითად მოსიარულეს ავტომანქანა დაეჯახა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 126-ე, ძალადობისა და 276-ე, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლებით აღიძრა.

დაკავებულია მოძალადე შვილი, რომელსაც, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ოთხიდან ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# 57 წლის მესანთლე 27 წლის მეზობელმა ცემა და გააუპატიურა

## რა მოხდა ვალეში

სოფელ ვალეს მკვიდრი, 57 წლის ჟუჟუნა ზარნაძე, რუსთავი 2-თან აცხადებს, რომ 27 წლის მამაკაცმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და გააუპატიურა.

ვალეს ეკლესიის მესანთლე იხსენებს, რომ შემთხვევა გასული წლის 19 დეკემბერს, ნიკოლოზობას მოხდა.

ახალგაზრდა დაკავებულია. მან თავდაპირველად ჩადენილი დანაშაული აღიარა. ქალის მონაყოლის მიხედვით, მოძალადის დაკავების შემდეგ ბრალდებულის ოჯახი მას თანხის გადახდის სანაცვლოდ საჩივრის გამოტანას სთხოვდა. ზარნაძის თქმით, ადგილი ჰქონდა მუქარასაც.

ბრალდებულის ადვოკატი ჟუჟუნა ზარნაძეს თანხის გამოძალვის მცდელობაში ადანაშაულებს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სირიის თაობაზე საიდუმლო გეგმას ვაშინგტონი და მოსკოვი განიხილავენ?

## რას ემსახურება რუსეთის, თურქეთისა და ირანის ლიდერების მორიგი სამიტი

მარიამ მჭედლიშვილი



სირიაში მიმდინარე მოვლების გამწვავებას ანალიტიკოსები დიდ პოლიტიკურ ბრძოლას უკავშირებენ. „გარდიანის" სიტყვებით, ის, რაც სირიაში ხდება, არის სუპერსახელმწიფოებს შორის კონფლიქტის შედეგი. ისინი ღრმად არიან შეჭრილი სირიის პროცესებში და მათი მოქმედებები უფრო აგრესიული ხდება.

თურქული მედიის მონაცემებით, შემუშავებულია სირიის პრობლემის მოგვარების გეგმა. ის გასაიდუმლოებულია. მისი მიღება მოსკოვსა და ვაშინგტონზეა დამოკიდებული. ამ მიზნით ამ დღეებში რუსეთის წარმომადგენლები აშშ-ში ჩადიან. ის გულისხმობს ცეცხლის შეწყვეტას. ამ გეგმით თეთრ სახლს მოუწევს, კარგა ხნით გადადოს დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის, ასევე ქურთების თავდაცვის რაზმების ტერორისტებთან შეჯახების იდეები. გეგმა არ არის მიმართული თურქეთის ინტერესების წინააღმდეგ.

სირიაზე აპირებენ საუბარს ასევე რუსეთის, თურქეთისა და ირანის ლიდერები. ეს მათი მეორე სამიტია, რომელიც, სავარაუდოდ, აპრილში სტამბოლში გაიმართება.

ამ სახელმწიფოების პრეზიდენტები ერთმანეთს 2017 წლის ნოემბერში სოჭში შეხვდნენ. მათ სირიის პრობლემაზე იმსჯელეს. სამივე ქვეყანა „ასტანის პროცესის" მონაწილეა.

ამ ალიანსის სიმყარე ბევრს აეჭვებს. სამი სახელმწიფოს თანამშრომლობას უფრო ტაქტიკური ხასიათი აქვს. ანალიტიკოსების აზრით, თურქეთი არ მისდევს ამ ალიანსის მიერ გაცხადებულ პრინციპებს. სამეული შეთანხმებულია სირიის ტერიტორიულ მთლიანობაზე, თუმცა ანკარა 20 იანვარს შევიდა სირიის აფრინის რეგიონში და დაიწყო სამხედრო ოპერაცია.

ექსპერტების დასკვნით, თურქეთი ვაშინგტონის ინტერესებსაც ატარებს. მისი მეშვეობით აშშ სირიაში ახორციელებს ფართო პოლიტიკურ-დიპლომატიურ მანევრს.

ამასთან, ანკარა ყველაფერში ამერიკულ წესებს არ ემორჩილება.

თურქეთი არ მალავს თავის უკმაყოფილებას ირანის მოქმედებების გამოც და აცხადებს, რომ თეირანი რეგიონში ამყარებს ისლამის ერთ-ერთი შტოს ჰეგემონიას.

რამდენიმე დღის წინ ექსპერტების ნაწილი ფიქრობდა, რომ აშშ სირიის მოვლენებს ძირითადად ჩამოშორდა. ეს გამოჩნდა მაშინ, როცა აშშ-მ უარი თქვა თავის გეგმაზე, შეექმნა 30.000-კაციანი სასაზღვრო უსაფრთხოების ჯარი ქურთების მონაწილეობით. მათი სიტყვებით, ვაშინგტონმა ქურთები თურქული ოპერაციის დროს ბედის ანაბარა დატოვა.

სხვა ავტორები ირწმუნებიან, რომ აშშ ქურთებს კვლავინდებურად გვერდში უდგას და ანკარამ ვერ ააღებინა ხელი ამერიკას ქურთების სახალხო თავდაცვის რაზმების დახმარებაზე.

სირიის პრობლემის გეგმის არსებობის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობა ნაკლებად სავარაუდოა.

ერდოღანი საუბრობს მოსალოდნელ ცხელ ზაფხულზე, ირანი კი იმუქრება ბირთვული შეთანხმებიდან გასვლით, თუ ევროპის სახელმწიფოები ამერიკის დაჟინებით შეწყვეტენ ირანთან ეკონომიკურ ურთიერთობას.

ბოლო მონაცემებით, აშშ სირიაში დარჩება, რათა წინ აღუდგეს ირანს.

მშვიდობას არც რუსეთის გეგმები მოასწავებს. ბოლო დროს დამტკიცდა, რომ რუსეთს სირიაში დაქირავებული ჯგუფები ჰყავს გაგზავნილი. რუსეთის ოფიციალურმა პირებმა თავიანთი მოქალაქეების დაღუპვის აღიარებით ეს, ფაქტობრივად, დაადასტურეს, თუმცა, მათ შეამცირეს დაღუპულთა რაოდენობა.

ანალიტიკოსების უმრავლესობა სირიაში ბევრი ახალი ფრონტის გახსნას ვარაუდობს. ამ ეტაპზე ცეცხლის შეწყვეტისა და 30-დღიანი ზავისკენ მხარეებს გაეროს უშიშროების საბჭომ მოუწოდა.

### ესტონეთმა დამოუკიდებლობის მე-100 წლისთავი აღნიშნა

1918 წლის 24 თებერვალს ესტონეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამასთან დაკავშირებით ტალინში სამხედრო აღლუმი გაიმართა. დემონსტრირებულ იქნა უახლესი ამერიკული სამხედრო ტექნიკა, მათ შორის პატრიოტის ტიპის რაკეტები.

საზეიმო ღონისძიებები ესტონეთის ყველა ქალაქში გაიმართა.

### ქაბულში ტერორისტმა თავი აიფეთქა

ავღანეთში ტერაქტები გრძელდება.

ქაბულში თვითმკვლელმა ტერორისტმა პოლიციის განყოფილებასთან თავი აიფეთქა. დაიღუპა 3 ადამიანი.

ჰელემოპდის პროვინციაში მომხდარი ტერაქტისას დაღუპულია 5 ადამიანი.

მომხდარზე პასუხისმგებლობა მოძრაობა „თალიბანმა" აიღო.

### ტუნისში იარაღით დატვირთული გემი დააკავეს

ტუნისის ხელისუფლებამ დააკავა გემი, რომელზეც დიდძალი ოდენობით სამხედრო ტექნიკა აღმოჩნდა. გემი თურქეთის კომპანიას ეკუთვნოდა. მან გეზი რუსეთის პორტ ნოვოჩერკასკიდან აიღო.



ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ხსენებული გემი იარაღით ნოვოჩერკასკში დატვირთეს. სირიაში განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა რიგ ქვეყნებს შეაფარეს თავი. ერთ-ერთი მათგანი ტუნისია. სავარაუდოდ, ხსენებული იარაღიც ისლამისტებისთვის იყო განკუთვნილი.

### სომალიში „ალ-ბაბაომ" 2 მანქანა ააფეთქა

სომალის დედაქალაქ მოგადიშუში მორიგი ტერაქტი მოხდა. პრეზიდენტის რეზიდენციასთან და საერთაშორისო ოტელთან ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული 2 ავტომანქანა აფეთქდა.

შედეგად 18 ადამიანი დაიღუპა.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ექსტრემისტულმა ორგანიზაცია „ალ-ბაბაომ" აიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

### ნტვ-ს პირდაპირ ეთერში რუსები და უკრაინელები ერთმანეთს დაერივნენ



ტოკშოუ საზოგადოებაში არსებული განწყობილებების სარკეა. რუსულ შოუებშიც ხშირია ჩხუბი. განსაკუთრებით ეს მაშინ ხდება, როცა საქმე უკრაინას შეეხება. დონბასში რუსეთი ჩიხში შევიდა. რუსი საზოგადოებაც ტაშს უკრავს წამყვანს, რომელიც მკვეთრ ანტიუკრაინულ პოზიციას აფიქსირებს და უკრაინელ პატრიოტებს ფიზიკურად უსწორდება.

ნტვ-ს ტელეწამყვანმა ანდრეი ნორკინმაც უკრაინელების ცემა-შეურაცხყოფით გვარიანი კარიერა გაიკეთა. ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ რუს ჟურნალისტად იქცა.

გადაცემა „მესტო ვსტრეჩის" 22 თებერვლის სიუჟეტი წინანდელებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ნორკინმა სტუდიაში უკრაინელი ექსპერტები და ის გერმანელი პოლიტოლოგებიც მიიწვია, რომლებიც ცოტა ხნის წინ დონბასში იყვნენ.

საუბარი ჩვეულებრივი ანტიუკრაინული რიტორიკით დაიწყო. გერმანელმა სტუმარმა, რომელიც სუფთა რუსულ ენაზე საუბრობდა, გამოაცხადა, რომ უკრაინელი ჯარისკაცები ქალაქებსა და სოფლებს ბომბავენ, არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს არ ინდობენ. მან განაცხადა, რომ უკრაინელები გლეხების ერია, აჯანყებულ გლეხზე საშინელი კი არაფერია, ის ყველაფერს ანგრევს და არავის ინდობსო.

აქ უკრაინელი სუვოროვი წამოხტა, გერმანელისაკენ თითი გაიშვირა და შესძახა:

– ეს კაცი პოლიტოლოგი კი არა, პუტინის „კაზიოლია!" ხალხო, შეხედეთ, პუტინის „კაზიოლი" როგორ გამოიყურება!

ნორკინი სუვოროვს მივარდა, ხელი სტაცა და გარეთ გაგდება დაუპირა. სუვოროვმა პასუხად ყბაში ლეწა. დარტყმა არ იყო ძლიერი, მაგრამ მოულოდნელობისგან ნორკინი წაბარბაცდა და იატაკზე გაიშხლართა.

ნორკინს მისი თანამემამულეები წამოეშველნენ, სუვოროვს კი – უკრაინელი სტუმრები. ნტვ-ს სტუდიაში მასობრივი ცემა-ტყეპა გაიმართა.

– გვიშველეთ! – გაჰკიოდა მეორე ტელეწამყვანი ოლგა ბელოვა.

რამდენიმე მამაკაცი სუვოროვს მივარდა და წაქცევა დაუპირა. სცემდნენ მუშტებით, წიხლებით. ჩხუბში სტუდიაში მყოფი ელენა ბოიკოც ჩაერია, რომელიც მკვეთრი ანტიუკრაინული პოზიციითაა ცნობილი. მან სუვოროვს რამდენიმეჯერ წიხლი ჩასცხო და შემდეგ ბრჭყალებით სახეში ჩააფრინდა.

დაცვამ მოჩხუბრები გააშველა. დიმიტრი სუვოროვი სტუდიიდან გაიყვანეს. იქაურობა ნორკინმაც დატოვა, რადგან ჩხუბისას სათვალე გაუტეხეს, ცალი თვალი კი ჩაულურჯეს.

### ტრამპი ჩრდილოეთ კორეას დაემუქრა




ვაშინგტონში ავსტრალიის პრემიერი მალკოლმ ტორნბული ჩავიდა. ერთობლივი პრესკონფერენციის დროს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ტრამპს ჰკითხა, რას მოიმოქმედებს, თუ ჩრდილოეთ კორეაზე ამერიკული სანქციები არ გაჭრის.

– აშშ-ს სათადარიგო გეგმაც გააჩნია, – მიუგო ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიმართ ძალის გამოყენებას არ მოერიდება.

– იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა, თუმცა არც ძალის გამოყენებას გამოვრიცხავ, – თქვა ტრამპმა.

ჩრდილოეთ კორეის მიმართ დაწესებული სანქციები სრულფასოვნად არ სრულდება. ამ ქვეყნისკენ კვლავ მიემართებიან გემები, რომლებსაც აკრძალული ტვირთი მიაქვთ.

აშშ-ც ჩრდილოეთ კორეისკენ მიმავალი გემების დასაკავებლად ემზადება. მიმდინარეობს აშშ-ის მოლაპარაკებები სამხრეთ კორეასთან, იაპონიასთან, სინგაპურთან, რათა ჩრდილოეთ კორეისკენ მიმავალი ხომალდები ერთობლივი ძალით დააკავონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ილიას ზუროსის გუნდის პირველი მოგება

**ავსტრია-საქართველო 64:78**

**(5:19, 26:21, 18:15, 15:23)**

საქართველოსა და ავსტრიის საკალათბურთო ნაკრებები მსოფლიოს 2019 წლის შესარჩევი ციკლის მეორე ფანჯარას 2-2 წაგებით შეხვდნენ და შემდეგ ეტაპზე გამვლელი გუნდის ვინაობა ერთმანეთში უნდა გადაეწყვიტათ. საბოლოოდ, ეს ამოცანა უკეთ ქართველებმა გადაჭრეს, თუმცა გულშემატკივრებს ნერვიულობის საბაბი მაინც მისცეს. არადა, ამის პირი მატჩის მიმდინარეობისას დიდი დროის განმავლობაში არ ჩანდა.

ილიას ზუროსის გუნდის დანაკლისზე არაერთხელ გვითქვამს: თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, დუდა სანაძე და ბექა ბურჯანაძე წინა ფანჯრის დროსაც გვაკლდნენ, ამჯერად კი მათ რიგებს მუხლმტკივანი მანუჩარ მარკოიშვილიც დაემატა. სამაგიეროდ, გუნდს წამყვანი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე დაემატა, რომელიც კარგა ხნის მანძილზე მკურნალობდა და გამოკეთდა, მაგრამ ავსტრიელებთან მატჩისას ისევ დაშავდა და მეორე ტაიმში პარკეტზე აღარ გამოჩენილა.

ილიას ზუროსმა თამაში შემდეგი სასტარტო შემადგენლობით დაიწყო: გიორგი ცინცაძე, მაიკლ დიქსონი, მერაბ ბოქოლიშვილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, აკაკი დვალიშვილი.

პირველი მეოთხედი საქართველომ ჩინებულად ჩაატარა. ხარვეზების მიუხედავად, ზუროსის გუნდი დაცვაში გამაგრდა და მეტოქეს მხოლოდ 5 ქულა ჩააგდებია, თავად კი 19 მიითვალა და სოლიდური ჰანდიკაპით დაწინაურდა. ავსტრიელთა 5 ქულიდან 4 ქართველთა უხეშ შეცდომას მოჰყვა, ხოლო ერთიც საჯარიმოდან ჩააგდეს. სხვა შემთხვევებში დაცვაში კარგად ვიდექით და მეტოქეს ძირითადად მოუმზადებელი სროლების განხორციელება უწევდა.

მეორე პერიოდის დასაწყისში ზუროსის გუნდს მუხტი გადაჰყვა და ათწუთეულის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დიქსონის შორეული გასროლის შემდეგ საქართველო 19 ქულით დაწინაურდა – 33:14.

თითქოს მატჩის ბედიც აქ გადაწყდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა სანერვიულო რომ არ მოგვცეს, როგორ შეიძლება... მეორე მეოთხედის დასრულებამდე ავსტრიელებმა მიზანი გაასწორეს, რამდენიმე სამქულიანი ჩაგვიგდეს, სხვაობა შეამცირეს – 31:40.



ავსტრიელებმა უკეთ დაიწყეს მესამე მეოთხედში და ერთ მომენტში 4 ქულითაც მოგვიახლოვდნენ, შემდეგ ისევ 15 ქულით დავწინაურდით და... ბოლო მეოთხედის წინ ხელთ მხოლოდ 6 ქულა გვქონდა – 55:49.

ბოლო ათწუთეულში ავსტრიელები კიდევ უფრო მოგვიახლოვდნენ, თუმცა დიქსონმა სხვაობა შვიდამდე გაზარდა. შეხვედრის ფინიშამდე 7 წუთით ადრე ბოქოლიშვილის ორი ჯარიმის შემდეგ ასევე 7 ქულას ვიგებდით, მაგრამ ავსტრიელებმა სამიანი ჩაგვიგდეს და ყველაფერი თავიდან დაიწყო – 60:56.

დასკვნით ნაწილში ლიდერის თვისებები გამოავლინა დიქსონმა – მაიკლის ყოჩაღობით 67:56 დავწინაურდით, შემდეგ კი დვალიშვილმა სხვაობა 13-მდე აიყვანა – 69:56. დარჩენილ დროში ავსტრიამ იბრძოლა, მაგრამ ჩვენებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მაინც მოიპოვეს და მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლის დიდი შანსი მიიღეს.

ჩვენებიდან 9 კალათბურთელმა ითამაშა და გამარჯვებაში თავისი წვლილი მეტნაკლებად ყველამ შეიტანა. 23 ქულით, 9 მოხსნით და 4 პასით მატჩის გმირი მაიკლ დიქსონი გახდა. გოგა ბითაძეს 12 ქულა და 8 მოხსნა აქვს, ნიკა ცქიტიშვილს, რომელსაც მეორე ტაიმში, ცინცაძის მსგავსად, არ უთამაშია – 9 ქულა, 7 მოხსნა. კარგები იყვნენ მიშა ბერიშვილი (10 ქულა, 4 მოხსნა) და აკაკი დვალიშვილი (8 ქულა, 4 მოხსნა).

# ტორპედო სუპერთასის მფლობელია

## ქართული ფეხბურთი ქართული ჩხუბით

**ტორპედო-ჩიხურა 2:1**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

0:1 ბუღრიძე (77), 1:1 კუხიანიძე (86), 2:1 კუტალია (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, კაპანაძე (ბოხაშვილი 64), კუხიანიძე, გ.გურული, კუტალია, დოლიძე (სარდალიშვილი 78), ქიმაძე, გიგაური, ტუღუში (წიქარიძე 60)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა (გუგა 43), ლექვთაძე (ბუღრიძე 64), კაკუბავა, იონანიძე (კახაბრიშვილი 70), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია

ქუთაისის ტორპედომ არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა საქართველოს სუპერთასი, ხოლო რიონისპირელთა მწვრთნელი კახა ჩხეტიანი გახდა პირველი, ვინც ტორპედოს ყველა ტიტული მოაგებინა. ჩხეტიანის ხელმძღვანელობით ქუთათურებმა ჯერ საქართველოს თასი მოიგეს, შემდეგ ეროვნული ლიგა და ახლა უკვე სუპერთასი – ასეთი საჩუქარი გაუკეთეს შეგირდებმა დაბადების დღეს.

მატჩი კი ისეთი გამოდგა, როგორც საქართველოს სუპერთასი უნდა ყოფილიყო – დუნე, დაბალ ტემპში, სახიფათო მომენტების გარეშე. 3 გოლი კი გავიდა, მაგრამ ვერ ვიხსენებთ სხვა მომენტს, სადაც გოლის გასვლა შეიძლებოდა. არადა, ორივე გუნდი ევროთასებზე წარადგენს საქართველოს, თუმცა ამ მატჩიდან გამომდინარე, მცირე იმედიც კი, არაფრის არ უნდა გვქონდეს.

ანგარიში 77-ე წუთზე გაიხსნა. გოლის ავტორი ცვლილებაზე შესანიშნავად შემოსული ირაკლი ბუღრიძე გახდა, რომელმაც 2 მეტოქე ტექნიკურად ჩამოიშორა, კარგადაც დაარტყა – 0:1.

თითქოს სოსო ფრუიძის გუნდს მორიგი ტიტული უნდა ეზეიმა, მაგრამ ასე არ ფიქრობდნენ ქუთაისელები – 86-ე წუთზე თენგიზ წიქარიძის საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ დინო ჰამზიჩი შეცდა, რაც გიორგი კუხიანიძემ არ აპატია და წონასწორობა აღადგინა.

მსაჯის მიერ პირველ კომპენსირებულ წუთზე კი ტორპედომ გამარჯვების გოლის გატანა მოახერხა – ევგენი ბოხაშვილის ჩაწოდებულს ლევან კუტალიამ სატიტულოდ დაუხვედრა ფეხი.

მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ქუთაისის ტორპედოს 50.000 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდო და საქართველოს სუპერთასი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, დავით მუჯირმა და ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა გადასცეს.



და მთავარი: ნამატჩევს ჩიხურას სპორტული დირექტორი ბერიკა შუკაკიძე მსაჯობით იყო უკმაყოფილო და მათ მიმართ უცენზურო გამონათქვამებს იყენებდა, რაზეც ფედერაციის ხელმძღვანელობამ მიუთითა. თავის მხრივ შუკაკიძემ „საქმის გარჩევა“ დაიწყო, რომელიც შემდეგ დახურულ ზონაში გაგრძელებულა. ყოფილა მინების ჩამტვრევა და ფიზიკური დაპირისპირება. როგორც თვითმხილველები ამბობენ, შუკაკიძის გამაღიზიანებელი ქმედება „დასჯილა“ და ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ კახა ჭუმბურიძეს უცემია.

აი, ესეც ქართული იყო ამ მატჩში...

# საქართველომ ისრაელი გაანადგურა და თითქმის ბარსელონაშია



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები 14-28 ივლისს ბარსელონაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე რომ ითამაშებს, ეს უკვე დადასტურებით შეგვიძლია ვთქვათ. საერთოდ, სპორტში ძნელია წინასწარ რამეს გამოცნობა, მაგრამ ჩვენმა წყალბურთელებმა საწყლოსნო კომპლექს ოლიმპიკში გამართული ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრი პლეიოფის მატჩი 12:1 მოუგეს ისრაელს და უტოპიურზე მეტი იქნება, რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილებმა 3 მარტს განმეორებით მატჩში ამხელა ჰანდიკაპი გაანიავონ.

კატალონიის დედაქალაქში წილისყრა 6 მარტს გაიმართება, სადაც კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდი ჯგუფებში გადანაწილდება. სწორედ იქ გახდება ცნობილი საქართველოს ნაკრების მეტოქეების ვინაობა. მართალია, მოვლენებს ოდნავ წინ ვასწრებთ, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ ითამაშებენ.

ჰო, ეს მატჩი რევაზ ჩომახიძისთვის მთავარი მწვრთნელის პოსტზე სადებიუტო იყო. მან სერბი სპეციალისტი იოვან პოპოვიჩი შეცვალა. დაწყებაც ასეთი უნდა.

ისრაელის ნაკრების რბევა ანდრო ბითაძემ დაიწყო. 3 გოლი მარკო ელაჩას ანგარიშზეა, ამდენივეჯერ დაამწუხრა სტუმართა მეკარე მაგრაქველიძემ, თავიანთი გოლები გაიტანეს ქავთარაძემ, ბაღათურიამ და კაპიტანმა ზუკა რურუამ.

**რევაზ ჩომახიძე:**

– შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმცა, მიუხედავად 12 გატანილი გოლისა, შეტევაში ხარვეზები გვქონდა და მათ გამოსასწორებლად აუცილებლად ვიმუშავებთ. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ, დიდი ალბათობით, ევროპის ჩემპიონატის საგზური ხელიდან აღარ უნდა გავუშვათ.

# შედეგები

## 24 თებერვალი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-სტოკი ............ 1:1
ბორნმუთი-ნიუკასლი ............ 2:2
ბრაიტონი-სუონსი ............ 4:1
ბარნლი-საუთჰემპტონი ............ 1:1
ლივერპული-ვესტ ჰემი ............ 4:1
ვესტ ბრომვიჩი-ჰადერსფილდი ..... 1:2
უოტფორდი-ევერტონი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 27 | 23 | 3 | 1 | 79-20 | 72 |
| 2.ლივერპული | 28 | 16 | 9 | 3 | 65-32 | 57 |
| 3.მანჩესტერი | 27 | 17 | 5 | 5 | 51-19 | 56 |
| 4.ჩელსი | 27 | 16 | 5 | 6 | 49-23 | 53 |
| 5.ტოტენჰემი | 27 | 15 | 7 | 5 | 52-24 | 52 |
| 6.არსენალი | 27 | 13 | 6 | 8 | 51-36 | 45 |
| 7.ბარნლი | 28 | 9 | 10 | 9 | 22-25 | 37 |
| 8.ლესტერი | 28 | 9 | 9 | 10 | 40-41 | 36 |
| 9.ევერტონი | 28 | 9 | 7 | 12 | 32-47 | 34 |
| 10.უოტფორდი | 28 | 9 | 6 | 13 | 38-47 | 33 |
| 11.ბორნმუთი | 28 | 8 | 8 | 12 | 33-43 | 32 |
| 12.ბრაიტონი | 28 | 7 | 10 | 11 | 26-37 | 31 |
| 13.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 9 | 12 | 35-50 | 30 |
| 14.ჰადერსფილდი | 28 | 8 | 6 | 14 | 25-48 | 30 |
| 15.ნიუკასლი | 28 | 7 | 8 | 13 | 27-38 | 29 |
| 16.საუთჰემპტონი | 28 | 5 | 12 | 11 | 29-41 | 27 |
| 17.კრ.პალასი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-42 | 27 |
| 18.სუონსი | 28 | 7 | 6 | 15 | 21-41 | 27 |
| 19.სტოკი | 28 | 6 | 8 | 14 | 28-54 | 26 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 3 | 11 | 14 | 22-42 | 20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარტონი-მილუოლი ............ 0:1
ბირმინგემი-ბარნსლი ............ 0:2
ქპრ-ნოტინგემი ............ 2:5
ლიდსი-ბრენტფორდი ............ 1:0
ნორვიჩი-ბოლტონი ............ 0:0
პრესტონი-იფსვიჩი ............ 0:1
რედინგი-დერბი ............ 3:3
სანდერლენდი-მიდლსბრო ............ 3:3
უენსდი-ასტონ ვილა ............ 2:4
ფულემი-ვულვზი ............ 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სელტა-ეიბარი ............ 2:0
რეალი-ალავესი ............ 4:0
ლეგანესი-ლას პალმასი ............ 0:0
ბარსელონა-ხირონა ............ 6:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 25 | 20 | 5 | 0 | 68-12 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 16 | 7 | 1 | 36-9 | 55 |
| 3.რეალი | 25 | 15 | 6 | 4 | 62-27 | 51 |
| 4.ვალენსია | 24 | 14 | 4 | 6 | 47-28 | 46 |
| 5.სევილია | 24 | 12 | 3 | 9 | 31-35 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-29 | 38 |
| 7.სელტა | 25 | 10 | 5 | 10 | 43-37 | 35 |
| 8.ეიბარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-38 | 35 |
| 9.ხირონა | 25 | 9 | 7 | 9 | 35-36 | 34 |
| 10.ხეტაფე | 24 | 8 | 9 | 7 | 29-21 | 33 |
| 11.ბეტისი | 24 | 10 | 3 | 11 | 41-50 | 33 |
| 12.ლეგანესი | 25 | 8 | 6 | 11 | 21-28 | 30 |
| 13.სოსიედადი | 24 | 8 | 5 | 11 | 46-45 | 29 |
| 14.ბილბაო | 24 | 6 | 10 | 8 | 24-27 | 28 |
| 15.ესპანიოლი | 25 | 6 | 10 | 9 | 22-32 | 28 |
| 16.ალავესი | 25 | 9 | 1 | 15 | 22-37 | 28 |
| 17.ლევანტე | 24 | 3 | 11 | 10 | 21-38 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 25 | 5 | 4 | 16 | 18-52 | 19 |
| 19.დეპორტივო | 25 | 4 | 6 | 15 | 24-53 | 18 |
| 20.მალაგა | 24 | 3 | 4 | 17 | 15-38 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-ხიმნასტიკი ............ 1:1

**ხიმნასტიკის გოლი ოთარ კაკაბაძემ გაიტანა**

ალმერია-ლეონესა ............ 2:1
რაიო-უესკა ............ 3:0
კადისი-ლორკა ............ 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰერტა ............ 0:0
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი ............ 1:1
ჰანოვერი-გლადბახი ............ 0:1
შტუტგარტი-აინტრახტი ............ 1:0
ვერდერი-ჰამბურგი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 19 | 3 | 2 | 55-18 | 60 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 11 | 7 | 5 | 48-29 | 40 |
| 3.აინტრახტი | 24 | 11 | 6 | 7 | 32-27 | 39 |
| 4.ლევერკუზენი | 23 | 10 | 8 | 5 | 43-30 | 38 |
| 5.ლაიპციგი | 23 | 11 | 5 | 7 | 36-31 | 38 |
| 6.შალკე | 23 | 10 | 7 | 6 | 36-30 | 37 |
| 7.გლადბახი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-35 | 34 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 8 | 8 | 38-38 | 32 |
| 9.ჰანოვერი | 24 | 8 | 8 | 8 | 32-34 | 32 |
| 10.აუგსბურგი | 23 | 8 | 7 | 8 | 32-29 | 31 |
| 11.ჰერტა | 24 | 7 | 10 | 7 | 30-30 | 31 |
| 12.შტუტგარტი | 24 | 9 | 3 | 12 | 20-27 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 24 | 6 | 11 | 7 | 25-38 | 29 |
| 14.ვერდერი | 24 | 6 | 8 | 10 | 22-28 | 26 |
| 15.ვოლფსბურგი | 24 | 4 | 13 | 7 | 27-31 | 25 |
| 16.მაინცი | 24 | 6 | 6 | 12 | 29-42 | 24 |
| 17.ჰამბურგი | 24 | 4 | 5 | 15 | 18-35 | 17 |
| 18.კიოლნი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-42 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-ბრაუნშვაიგი ............ 2:1
დუისბურგი-ინგოლშტადი ............ 2:1
უნიონი-ზანდჰაუზენი ............ 2:1
აუე-კაიზერი ............ 2:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ჯენოა ............ 2:0
ინტერი-ბენევენტო ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 25 | 21 | 3 | 1 | 55-15 | 66 |
| 2.იუვენტუსი | 25 | 21 | 2 | 2 | 62-15 | 65 |
| 3.ინტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 42-21 | 51 |
| 4.რომა | 25 | 15 | 5 | 5 | 40-19 | 50 |
| 5.ლაციო | 25 | 15 | 4 | 6 | 61-33 | 49 |
| 6.სამპდორია | 25 | 12 | 5 | 8 | 44-33 | 41 |
| 7.მილანი | 25 | 12 | 5 | 8 | 35-30 | 41 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 25 | 8 | 12 | 5 | 35-30 | 36 |
| 10.უდინეზე | 25 | 10 | 3 | 12 | 36-36 | 33 |
| 11.ბოლონია | 26 | 10 | 3 | 13 | 33-38 | 33 |
| 12.ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 34-32 | 32 |
| 13.ჯენოა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-27 | 30 |
| 14.კიევო | 25 | 6 | 7 | 12 | 23-42 | 25 |
| 15.კალიარი | 25 | 7 | 4 | 14 | 23-36 | 25 |
| 16.სასუოლო | 25 | 6 | 5 | 14 | 15-43 | 23 |
| 17.კროტონე | 25 | 5 | 6 | 14 | 21-44 | 21 |
| 18.სპალი | 25 | 3 | 8 | 14 | 23-47 | 17 |
| 19.ვერონა | 25 | 4 | 4 | 17 | 22-50 | 16 |
| 20.ბენევენტო | 26 | 3 | 1 | 22 | 18-60 | 10 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-ნოვარა ............ 2:1
ასკოლი-ჩეზენა ............ 2:1
კარპი-ვირტუსი ............ 0:0
პესკარა-კრემონეზე ............ 0:0
პრო ვერჩელი-პალერმო ............ 0:0
ტერნანა-ბარი ............ 1:2
ფოჯა-ბრეშა ............ 1:2
ფროზინონე-პერუჯა ............ 1:3
ჩიტადელა-ემპოლი ............ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-მონაკო ............ 3:3
დიჟონი-კაენი ............ 2:0
გენგამი-მეცი ............ 2:2
ლილი-ანჟე ............ 1:2
ნანტი-ამიენი ............ 0:1
რენი-ტრუა ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 2 | 2 | 81-19 | 68 |
| 2.მონაკო | 27 | 17 | 6 | 4 | 67-29 | 57 |
| 3.მარსელი | 26 | 16 | 7 | 3 | 56-29 | 55 |
| 4.ლიონი | 26 | 14 | 7 | 5 | 56-32 | 49 |
| 5.მონპელიე | 27 | 9 | 12 | 6 | 24-21 | 39 |
| 6.ნანტი | 27 | 11 | 6 | 10 | 27-28 | 39 |
| 7.რენი | 27 | 11 | 5 | 11 | 34-35 | 38 |
| 8.ბორდო | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 9.ნიცა | 26 | 10 | 5 | 11 | 32-38 | 35 |
| 10.გენგამი | 27 | 9 | 8 | 10 | 28-35 | 35 |
| 11.დიჟონი | 27 | 10 | 5 | 12 | 38-52 | 35 |
| 12.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-40 | 33 |
| 13.კაენი | 27 | 9 | 5 | 13 | 20-32 | 32 |
| 14.სტრასბური | 27 | 8 | 7 | 12 | 32-47 | 31 |
| 15.ამიენი | 27 | 8 | 5 | 14 | 23-30 | 29 |
| 16.ტულუზა | 27 | 7 | 7 | 13 | 25-36 | 28 |
| 17.ანჟე | 27 | 6 | 10 | 11 | 29-40 | 28 |
| 18.ტრუა | 27 | 8 | 4 | 15 | 24-36 | 28 |
| 19.ლილი | 27 | 7 | 6 | 14 | 26-43 | 27 |
| 20.მეცი | 27 | 5 | 4 | 18 | 25-49 | 19 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

პარიზი-ბრესტი ............ 0:1

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალკმაარი-სპარტა ............ 2:1
ჰერენვენი-ექსელსიორი ............ 0:1
ერაკლესი-ზვოლე ............ 2:1
ვენლო-ვიტესი ............ 2:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

იანგ ბოიზი-სიონი ............ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბელენენსეში-ფეირენშე ............ 1:0
მარიტიმუ-გიმარაეში ............ 3:2
ფერეირა-ბენფიკა ............ 1:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-ჰიბერნიანი ............ 2:2
ჰამილტონი-პარტიკი ............ 2:1
რეინჯერსი-ჰართსი ............ 2:0
სტ.ჯონსონი-როსი ............ 2:0
დანდი-მოზერველი ............ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-აუსტრია ............ 2:1
ვოლფსბერგერი-სტ.პოლენი ............ 0:1
ალტახი-მატერსბურგი ............ 1:1
რაპიდი-ლინცერი ............ 2:0

**რაპიდის ორივე გოლი გიორგი ქვილითაიამ გაიტანა**

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-შარლერუა ............ 1:1
ოსტენდე-სტ.ტრუიდენი ............ 2:0
ეუპენი-ლოკერენი ............ 3:2
ბევერენი-გენტი ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-ლევადიაკოსი ............ 0:0
პანიონიოსი-ასტერასი ............ 0:0
პანათინაიკოსი-ლამია ............ 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ქაშიმფაშა ............ 3:2
ალანია-ტრაბზონი ............ 1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბრნო-სიგმა ............ 1:0
ლიბერეცი-ბოლესლავი ............ 1:0
სლოვაცკო-სპარტა ............ 1:1
ტეპლიცე-ბანიკი ............ 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-სანდეცია ............ 1:0
პოგონი-პლოცკი ............ 2:1
კრაკოვია-ლეგია ............ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-მარიუპოლი ............ 1:0
ჩერნომორეცი-კარპატი ............ 0:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ორხუსი ............ 0:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ცურვის არმცოდნე პოლიციელმა მამაკაცი დახრჩობას გადაარჩინა

ბრიტანელი პოლიციელი ხიდიდან წყალში გადახტა, რათა დახრჩობისგან გადაერჩინა ადამიანი. ეს შემთხვევა ვიდეოზე იქნა გადაღებული.

ინციდენტი დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბერიში მოხდა. პოლიციაში რამდენიმე ზარი შევიდა იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი ხიდიდან მამაკაცი მდინარეში გადავარდა. ადგილზე მისული პოლიციის კურსანტი მოჰამედ ნადიმი დაუფიქრებლად გადახტა ორმეტრნახევარი სიმაღლიდან ყინულივით ცივ წყალში და მდინარეში ჩავარდნილი მამაკაცი ნაპირზე გაიყვანა, სადაც ისინი მაშველებისა და ექიმების მოსვლას დაელოდნენ. მამაკაცის გადარჩენა მოხერხდა. ექიმები მის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ.




მოგვიანებით ნადიმმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ ცურვა არ იცის.

– თავს კარგ მოცურავეს ვერ ვუწოდებ და ამასთან, მთელი ჩემი აღჭურვილობით წყლის ზედაპირზე თავის შემაგრება ძნელი იყო, თუმცა მისი წყლიდან ამოყვანა მაინც შევძელი. სახიფათო იყო, მაგრამ წყალში მაინც უნდა გადავმხტარიყავი, ის იხრჩობოდა და დაყოვნება არ შეიძლებოდა, – განაცხადა ნადიმმა.

## ინდონეზიელი მოზარდი კვერცხებს დებს

ინდონეზიელი მოზარდი ამტკიცებს, რომ მას ქათამივით კვერცხის



„დადება“ შეუძლია. ინციდენტმა, რომელიც კაბუპატენ გოვას პროვინციის საავადმყოფოში მოხდა, პრესის ყურადღება მიიპყრო.

აკმალია რუსლის მამა ყვება, რომ მოზარდი დილიდან მუცლის არეში ტკივილს უჩიოდა და ამიტომ საავადმყოფოში მოიყვანეს, სადაც ექიმებმა რენტგენზე გააშუქეს და შემდეგ უკანა ხვრელიდან კვერცხი ისე გამოუღეს, რომ მისი ნაჭუჭი არ დაუზიანებიათ.

ადგილობრივი მედია ამტკიცებს, რომ რუსლი ექიმებთან მსგავსი პრობლემებით პირველად არ მოხვედრილა. ბოლო ორი წლის განმავლობაში მისი სწორი ნაწლავიდან, საერთო ჯამში, 18 კვერცხი გამოიღეს.

ბიჭი და მამამისი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ მოზარდის სხეულში კვერცხის წარმოშობა ზებუნებრივი მოვლენაა, თუმცა სპეციალისტები აცხადებენ, რომ მათ ვიღაც საგულდაგულოდ ათავსებს მოზარდის უკანა გასასვლელში. საავადმყოფოს თანამშრომლებმა სპეციალური კვლევაც კი ჩაატარეს და დარწმუნდნენ, რომ ისინი ჩვეულებრივი ქათმის კვერცხებია.

## იაპონიაში გაზების გამოშვების ფესტივალი გაიმართება

იაპონიაში გოგონების დღის პატივსაცემად გაიმართება ლამაზი გოგონების მიერ გაზების გამოშვების ფესტივალი.

ფესტივალი სახელწოდებით „ყველა ისმენს, თუ როგორ აფუჭებენ ჰაერს ლამაზი გოგონები, მეორე ნაწილი“ ტოკიოს ერთ-ერთ გასართობ ცენტრში გაიმართება. ფესტივალის ანონსში ორგანიზატორები მიმართავენ ყველა ჰაერის გაფუჭების 120 მილიონ მოყვარულს იაპონიაში და ჰპირდებიან, რომ ისინი გაახარებენ ფანების თვალსაც და ცხვირსაც, ვინაიდან ლამაზი გოგონები გამოუშვებენ გაზებს. ფესტივალში სამი იაპონელი პორნოვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.

პირველად ფესტივალი ოთხი თვის წინ ჩატარდა. მასზე დასწრების მსურველის ასაკი 18 წელს უნდა აღემატებოდეს, ხოლო მასზე შესვლა 4-4,5 ათასი იენი ღირს.



ხინამაცური ანუ გოგონების დღესასწაული ერთ-ერთ უმთავრეს იაპონურ დღესასწაულს წარმოადგენს, რომელიც 3 მარტს აღინიშნება. ამ დღეს ოჯახში, სადაც გოგონები არიან, სპეციალურ სადგამს დგამენ თოჯინა ხინა ნინგეთი, ხოლო თავად გოგონები ყვავილებით მოხატულ კიმონოებს იცვამენ, დადიან სტუმრად, ცვლიან საჩუქრებს და მიირთმევენ ტკბილეულს.

## ბრიტანელი შამანისთვის ბუების თავების მიყიდვის გამო დააჯარიმეს

დიდი ბრიტანეთის მოქალაქე გორდონ ტეილორი ბუების სხეულის ნაწილების შენახვისა და გაყიდვისთვის დააჯარიმეს.



პოლიციამ ბრიტანელის სახლში ბუს ფრთა, ფრინველის ფეხისგან დამზადებული ყელსაკიდი და ორი თავი აღმოაჩინა, რომლებიც მურაბის ქილაში იყო დამალული. მამაკაცი მათ შამანებზე ყიდდა მარკით „გარეული ჯადოსნური საშუალებები“.

ტეილორს ჯარიმის სახით 750 ფუნტი სტერლინგის გადახდა მოუხდა კანონის დაცვის ქვეშ მყოფი ფრინველების სხეულების არალეგალურად შენახვისა და გაყიდვისთვის.

მსოფლიოში ბუების სხვადასხვა სახეობა გადაშენების პირას მყოფ სახეობებად არ ითვლება, თუმცა დიდ ბრიტანეთში ბოლო წლებში მათი პოპულაციის მკვეთრი შემცირების გამო სახელმწიფოს დაცვის ქვეშ იმყოფებიან.

## ინდოეთის ზოოპარკში ლომთან შესული დამთვალიერებელი გადაარჩინეს

ინდოეთის კერალას შტატის ქალაქ ტრივანდრამის ზოოპარკში დამთვალიერებელმა ლომის ვოლიერში შეაღწია.

33 წლის ქალაქ ოტაპალამის მცხოვრები ლომის ვოლიერისკენ გაემართა მაშინვე, როგორც კი ბილეთი შეიძინა. ის ლითონის ღობეზე გადაძვრა, ოთხზე დადგა და ცხოველისკენ გახოხდა ისე, რომ თვითმხილველთა შეძახილებისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია.



მამაკაცი ზოოპარკის თანამშრომლების სწრაფმა რეაქციამ გადაარჩინა. მათ ლომის ყურადღება მიიქციეს, გაიტყუეს და გალიაში შეაგდეს. ამის შემდეგ ისინი წესრიგის დამრღვევს ეცნენ და ვოლიერიდან გამოათრიეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან მხოლოდ ფეხის მსუბუქი დაზიანება მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# ზაზა ფაჩულიას ისევ უხეშ თამაშში ადანაშაულებენ

ზაზა ფაჩულია გოლდენ სტეიტის სასტარტო ხუთეულში ადგილს კარგავს. ოლ სტარის უქმეების შემდეგ გოლდენ სტეიტმა 2 მატჩი გამართა და ორივეში ქართველი ცენტრი სათადარიგო იყო. ოკლენდურ გუნდში თამაშის განმავლობაში პირველად 23 თებერვალს კლიპერსთან მატჩში მოხდა, რომ ფაჩულია თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. ეს განმეორდა, როცა გოლდენ სტეიტმა ოკლაჰომას უმასპინძლა და 112:80 დაამარცხა.




ორივე ჯერზე ოკლენდელთა სასტარტო ხუთეულში ჯავალი მაკგი იყო. კლიპერსთან ზაზამ 7 წუთი ითამაშა და 6 ქულა მოაგროვა. ოკლაჰომასთან კი სათადარიგო ფაჩულიამ სასტარტო მაკგისზე 9-ით მეტი – 19 წუთი ითამაშა ითამაშა და 4 ქულას, 6 მოხსნა, 2 პასს და 1 დაფარებას გამორჩა. ზაზამ ორივე ორქულიანი ჩააგდო.

ბურთის მოხსნის დროს წაქცეულ ვესტბრუკს ქართველი ლეგიონერი ზაზა ფაჩულია ფეხებზე დაეცა. აღსანიშნავია, რომ ამაში უდიდესი წვლილი ნიკ იანგმა შეიტანა, რომელიც ფეხით ფაჩულიას გამოედო და წონასწორობა დააკარგვინა.

მკაცრი გამოდგა თავად ვესტბრუკის შეფასება:

– ცალსახაა, რომ იგი განზრახ წაიქცა. მას არავინ შეხებია და ისე დამეცა ფეხებზე. მას, უბრალოდ, სურდა, რომ ტკივილი მოეყენებინა. ფაჩულია ბინძური მოთამაშეა.

**ზაზა ფაჩულია:**

– ამაზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეს ბავშვური სიტყვები და რეაქციაა. კარგით, რა. ვერაფერს გიპასუხებთ.

გოლდენ სტეიტს 46 მოგება და 14 მარცხი აქვს და დასავლეთ კონფერენციასა და სრულიად ლიგაში ჰიუსტონის შემდეგ მეორე ადგილზეა. შემდეგ მატჩს ოკლენდური გუნდი ნიუ იორკში ნიკსთან გამართავს.

საქართველოს ნაკრებში ევროლიგაზე მონაწილე კლუბებმა ქართველები არ გაუშვეს, რის გამოც თორნიკე შენგელიამ და გიორგი შერმადინმა მორიგი მატჩები გამართეს.

შენგელიას ბასკონია მოსკოვში ცსკა-ს ესტუმრა და, ქართველი კალათბურთელის ორმაგი დუბლის მიუხედავად, 86:93 დამარცხდა. შენგელია სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 28 წუთში 12 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. ქართველმა ლეგიონერმა 7-დან 4 ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო. თორნიკეს სარგებლიანობის კოეფიციენტი 25-ს გაუტოლდა, რაც ჯეისონ გრეინჯერის მსგავსად, მატჩის საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. ურუგვაელმა უკანახაზელმა 7-დან 6 სამქულიანი ჩააგდო და 25 ქულა მოაგროვა.

შერმადინის უნიკახამ კი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ესპანურმა კლუბმა მალაგაში ისრაელის მაკაბის უმასპინძლა და 83:69 დაამარცხა. ქართველმა ცენტრმა 12 წუთში 6 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში), 2 პასი და 1 დაფარება მიითვალა.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, 4-დან 2 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო.

უნიკახამ 10 მოგება და 13 მარცხი მოაგროვა და ბასკონიას მსგავსი ბალანსი გაუხდა. ქართველ ლეგიონერთა გუნდები 9-10 ადგილებს ინაწილებენ. მალაგელები მომდევნო მატჩს ბელგრადში ცრვენა ზვეზდას წინააღმდეგ გამართავენ, ხოლო ბასკონია შინ ხიმკის დაუხვდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 26 თებერვალი



**ვერძი** – ემოციურად არასტაბილური დღეა. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **კურო** – პარტნიორთან ურთიერთობა იღბლიანად წარიმართება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **ტყუპები** – გელით სასიხარულო შეხვედრა. იაქტიურეთ და ენთუზიაზმი გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – საქმე დროულად დაამთავრეთ. მთავარია დისციპლინა და შედეგი თავად გაგაოცებთ. **ლომი** – ვარსკვლავები გირჩევენ, სურვილები დაიოკოთ და არსებული რეალობა მიიღოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. ერიდეთ ჩხუბსა და საქმის გარჩევებს. **სასწორი** – ამბიციურობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჩაიტარეთ გაციების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებები. **მშვილდოსანი** – მეტისმეტს ნუ მოინდომებთ. რეალობას თვალი გაუსწორეთ. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. **თხის რქა** – გამოიჩინეთ დიპლომატიურობა. ეცადეთ, წყენა მალე დაივიწყოთ. იზრუნეთ ოჯახურ კომფორტზე. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა. პლანეტები გმფარველობენ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გაამართლებს. **თევზები** – პროფესიონალური განვითარებისათვის შესაფერისი დღეა. კოლეგებთან და უფროსობასთან კონტაქტები იღბლიანად წარიმართება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. დასვენების დღე; 2. ასო „ტ“-ს სახელწოდება; 3. ერთად მიმავალ ცხენოსანთა ჯგუფი; 4. ზაფხულის თვე; 5. რომელიმე დაწესებულების თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა; 6. შორეული წარსულის რაიმე გადმონაშთი; 7. აქილევსის ...; 8. იგივეა, რაც ცთომილი; 9. ჰერას ქურუმი ქალი; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 11. თეთრი თხევადი საკვები; 12. სითბოს მუდმივობის დროს მიმდინარე ფიზიკური პროცესის შესაბამისი გრაფიკი; 13. ძველრუსული ოქროს ფული; 14. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 15. ზოდიაქოს ნიშანი; 16. ბატონი (ინგლისურად); 17. იუპიტერი ძველ ქართულად; 18. კენძაბურო ... (მწერალი); 19. მცენარეული შხამი; 20. ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი (1731-1810); 21. დიდი ფრინველის ნარნარი ფრენა; 22. იგივეა, რაც ბელღარი; 23. მხარე დასავლეთ საქართველოში; 24. შეგირდი, ..., ოსტატი; 25. კულტის მსახური წარმართებში; 26. ძველებური პატრუქიანი თოფი; 27. ავადმყოფობის შესუსტება ან გაქრობა; 28. კავშირი (გრამატ.); 29. სკანდინაველთა უმაღლესი ღვთაება; 30. პურეული მცენარე; 31. ედემი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ნაპოლი“; 2. ლაკი; 3. სეფედროშა; 4. „ნივეა“; 5. მანტისა; 8. საფარა; 9. გალაქტიკა; 12. ავრორა; 14. „ლიკანი“; 16. ივერი.

**თარაზულად:** 1. ნაფტალანი; 6. კერამიკა; 7. პარსეკი; 9. გაბენი; 10. ბახი; 11. „მარტელი“; 13. „პოლკა“; 15. ავღანი; 17. დარჯაკი; 18. კორიფე; 19. აფონია; 20. ლივადია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მარგალიტი; 2. პუდრეტი; 3. შირაზი; 4. შარკო; 5. გლაზგო; 11. ხუტორი; 12. მადერა; 14. ბივა; 16. პატრული; 17. პრიკაზი; 19. სომელიე; 21. „ულისე“; 22. კაშია.

**თარაზულად:** 6. ხაჭაპური; 7. ყვარელი; 8. კენზო; 9. ხარაძე; 10; ზესხო; 13. შტაბი; 15. იპოქონდრია; 18. ციპრასი; 20. „რომა“; 21. უშგული; 23. მირზაშვილი; 24. ზაჰესი.

# ნოდარ ნიკოლაიშვილი: „ძალიან აფორიაქებული ვარ“

## კომპოზიტორს ვარსკვლავს უხსნიან

5 მარტს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან.

არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორს ხუთი საავტორო და საიუბილეო კონცერტი აქვს ჩატარებული. სამი მათგანი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ერთი – ოპერის თეატრში, ორს კი მუსიკალურმა ცენტრმა „ტრიუმფმა“ უმასპინძლა.

5 მარტს თბილისის ივენთ ჰოლში ნოდარ ნიკოლაიშვილის სიმღერებს კიდევ ერთხელ შეასრულებენ მომღერლები მერაბ სეფაშვილი, ნუგზარ კვაშალი, ეკა კვალიაშვილი, ზურაბ დოიჯაშვილი, ვერიკო ტურაშვილი, ლელა წურწუმია, მიშიკო ზაქარიაშვილი, თათია გიორგობიანი, მამუკა ონაშვილი, ზურაბ კობეშავიძე, ნინო ძოწენიძე, ზაზა მამალაძე, ტატო გოდერძიშვილი, 4 გია და ანსამბლი „იმერეთი“.

საესტრადო სიმღერების გარდა, კონცერტზე წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები კომპოზიტორის ოპერიდან „ხვედრი მეფისა“, რომელიც ერეკლე მეფეს ეძღვნება. ფრაგმენტებს ოპერიდან შეასრულებენ ოპერის მომღერლები სულხან გველესიანი, ხათუნა ჭოხონელიძე, ჯარჯი ასათიანი და თამაზ საღინაძე. კონცერტზე დაუკრავს ბენდი ირაკლი მენთეშაშვილის, გია მაჭარაშვილის, მერაბ სანოძისა და თეიმურაზ ნიკოლაიშვილის შემადგენლობით.

ნოდარ ნიკოლაიშვილისთვის ვარსკვლავის გახსნის ინიციატივით კულტურის პალატას საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ მიმართა. ბატონი ნოდარი უკვე წლებია ამ აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსია.

როგორია წინასაკონცერტო სამზადისი და რა პროგრამით წარდგება მსმენელის წინაშე კომპოზიტორი, ამ თემებზე „ახალი თაობა“ **ნოდარ ნიკოლაიშვილს** ესაუბრა.

– ჩემთვის ვარსკვლავის გახსნის ინიციატივით ეროვნულმა აკადემიამ ისე მიმართა კულტურის პალატას, რომ მე არაფერი ვიცოდი. ყველაფერი მაშინ გავიგე, როცა უკვე ფაქტის წინაშე დავდექი. არასდროს მიფიქრია ვარსკვლავის გახსნაზე. ახლა კი, რადგან ქალაქში ყველამ გაიგო, უარის თქმა აღარ გამოდიოდა.

***– როგორია წინასაკონცერტო განწყობა?***

– ძალიან აფორიაქებული ვარ. ამხელა აუდიტორიის წინაშე წარდგენა არ არის მარტივი საქმე. გამალებული სამზადისია. ბევრი ადამიანი მეხმარება და სასწაულებს აკეთებს. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ამიტომ ჩამოთვლას არ დავიწყებ და მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც მცირე წვლილი მაინც შეიტანა ჩემი ვარსკვლავის გახსნის ინიციატივასა და კონცერტის ჩატარების ორგანიზებაში.




***– როგორ შეარჩიეთ ამდენი ნაწარმოებიდან საუკეთესოები?***

– ეს ყველაზე მძიმე საკითხია. ჩემი მეუღლე მუსიკოსია და საკონცერტო პროგრამაზე მუშაობის დროს სახლში ვხოცავთ ერთმანეთს. ჩემს შვილსაც კარგად ესმის მუსიკა, ამიტომ... საკონცერტო პროგრამა მინიმუმ 15-ჯერ ავატრიალე. არადა, პროგრამის დალაგება უმნიშვნელოვანესია. როგორც იქნა, დავლაგდი და არაფრის შეცვლას აღარ ვაპირებ. საკონცერტო პროგრამაში ყველა ცნობილი სიმღერა შევიტანე, რომლებიც მაყურებელს განსაკუთრებულად უყვარს.

***– თუ შეიცვლება თქვენთვის რამე ვარსკვლავის გახსნის შემდეგ?***

– სულ ამას ვამბობ და ახლაც გავიმეორებ: ჩემი მეგობრების ვარსკვლავი ვარ პიროვნულადაც და მეგობრულადაც ისევე, როგორც ჩემი მეგობრები არიან ჩემი ვარსკვლავები. ყველაზე ვიცი, რომ მათ ძალიან გაუხარდებათ. ცუდი არ არის, ვარსკვლავს რომ გაგიხსნიან, მაგრამ, რომ გითხრათ, თავს ვიკლავდი და ოდესმე ამაზე მიფიქრია-მეთქი, ასე ნამდვილად არ ყოფილა. ვინც მიცნობს, იცის, რომ არ მიყვარს საზოგადოების შეწუხება, არც ჟურნალისტებს ვაწუხებ ხოლმე, ჩემი დისკი გამოაქვეყნეთ, ჩემზე დაწერეთ-მეთქი.

***– თითქმის არასდროს ჩანხართ ტელევიზიებში...***

– ტელევიზიებში, რომლებიც არაქართულზე მუშაობენ, იქ არაფერი მესაქმება და ალბათ არც ჩემი თაობის კომპოზიტორებს, რომლებიც ქართულ სიმღერას წერენ. ახლანდელებს არ უნდათ ქართული არაფერი, მაშინვე ინგლისურად იწყებენ სიმღერას, გეგონება, ეს იყოს მათი დედა ენა. ინგლისელზე კარგად ვერავინ ვერცერთ პროექტში ვერ იმღერებს მათ სიმღერებს. ჯობია, ქართველებმა ქართული ვიმღეროთ.

ის კი არადა, ერთ-ორ მაგარ მომღერალს რომ ვუთხარი, ქართული სიმღერა ჩავწეროთ-მეთქი, პირდაპირ მითხრეს, მიჭირს და ვერ ჩავწერ, არ გამომივა და ხომ არ გაგიფუჭებ სიმღერასო.

***– ახლა დაიწყო რუსთავი 2-მა პროექტი „მხოლოდ ქართული“.***

– და ამას მხოლოდ მივესალმები. აღარ შეიძლებოდა ასე გაგრძელება. ეს სირცხვილია. საერთოდ, ვინ ზის ხოლმე მუსიკალური პროექტების ჟიურიში? აქა-იქ თუ დავინახავ პროფესიონალს... რატომ ჰგონიათ, რომ მუსიკის შეფასება შეიძლება განათლების გარეშე? მაგრამ ეს არის ამათი ბიზნესი, ამით ფულს შოულობენ. ვისაც ქართული სიმღერა უყვარს, ყველას ვენაცვალე. ჩემი შვილიშვილის თაობა ნელ-ნელა უბრუნდება ქართულ სიმღერას და ეს ძალიან მიხარია.

## მაია ასათიანი მაყურებელს მადლობას უხდის



ტოკშოუ „პროფილის“ წამყვანი, ჟურნალისტი მაია ასათიანი, მრავალრიცხოვან მაყურებელს გამხნევებისა და გვერდში დგომისთვის მადლობას უხდის.

**მაია ასათიანი:**

– ულრმესი მადლობა, მეგობრებო, ასეთი გვერდში დგომისთვის, ვერ გპასუხობდით და მაპატიეთ, მალე დავდგები ფეხზე და ყველაფერი კარგად იქნება!

გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაია ასათიანი მძიმედ არის ავად და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულია. „პროფილის“ შემოქმედებითმა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეთერი დროებით შეაჩეროს. მომღერალმა ლელა წურწუმიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ, ექიმების რეკომენდაციით, ის ველარც „პროფილს“ წაიყვანს.

## თაკო ნაცვლიშვილი, მარიშა ურუშაძე და თათია ახალაია მილანის მოდის კვირეულში მონაწილეობენ



ქართველი მოდელები მარიშა ურუშაძე, თაკო ნაცვლიშვილი და თათია ახალაია მილანის მოდის კვირეულში მონაწილეობენ.

მარიშასა და თაკოს სამოდელო სააგენტომ – ნექსთ მოდელსმა მილანის მოდის კვირეულისთვის მოდელების შოუბარათები გაავრცელა. მათ შორის არის თაკოსა და მარიშას შოუბარათებიც. მარიშა ურუშაძე გუჩის ექსკლუზივია და გუჩის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა, თაკო ნაცვლიშვილმა კი – არმანის კოლექციის ჩვენებაში. რაც შეეხება თათია ახალაიას, მილანის მოდის კვირეულისთვის მისი შოუბარათიც გავრცელდა. გასულ სეზონზე ქართველი მოდელი რობერტო კავალიმ აიყვანა. თათიამ წელსაც რობერტო კავალის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. მისი დედა სააგენტო აისი მოდელ მენეჯმენტია.

## ნინო ჩხეიძე დააჯილდოვეს




მომღერალი ნინო ჩხეიძე დააჯილდოვეს.

ისრაელის სახელმწიფოს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით ისრაელის საელჩომ საქართველოში დააჯილდოვა ნინო ჩხეიძე ისრაელსა და საქართველოს შორის კულტურის სფეროში ურთიერთობის გაღრმავებასა და ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

მომღერალს მადლობის ნიშნად სპეციალური სიგელი გადაეცა.

**ნინო ჩხეიძე:**

– დიდი მადლობა ისრაელის ელჩს საქართველოში, ბატონ შაფთაი ცურსა და კონსულ სმადარ ცემახ-რაცაბს. ჩემთვის დიდი პატივია თქვენი დაფასება.

## ქართველი მაყურებელი „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას უცხოურ კომპანიას სთხოვს



ქართველი მაყურებელი „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებას ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან უცხოურ ტელეკომპანია „ეიჩბიოუს“ სთხოვს. ტელეკომპანია მსოფლიოში გახმაურებული სერიალის „სამეფო კარის თამაშების“ შემქმნელია, რომელსაც ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს და მილიონობით მაყურებელი ჰყავს.

ამის შესახებ ინტერნეტში სპეციალური პეტიციაც გავრცელდა, რომელსაც იდეის მომხრეები აწერენ ხელს.

**პეტიციაში აღნიშნულია:**

– ეკრანიზაციის გადაღება ძალიან საფრთხილოა, რადგან არსებობს დიდი რისკი, რომ ამ ნაწარმოების მთელი მნიშვნელობა დაიკარგოს, თუმცა მას შემდეგ, რაც თქვენ შექმენით სერიალი „სამეფო კარის თამაშები“, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანი“ თქვენთვის ძალიან საინტერესო იდეა იქნება.

## მიხეილ ზაქარიაშვილი ბინას კარგავს და უვადო შიმშილობას იწყებს



არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი და შემსრულებელი მიხეილ ზაქარიაშვილი უვადო შიმშილობის დაწყებას აპირებს:

– ძალიან მალე ვიწყებ უვადო შიმშილობას საქართველოს ბანკის სათავო ოფისთან! თუმცა ექიმები მიკრძალავენ ჩემი ჯანმრთელობის გამო ამის გაკეთებას, მაქვს დიაბეტი და გულის იშემიური დაავადება...

ჩემი ჯანმრთელობის გაუარესებასა და თუნდაც სიკვდილზე პასუხისმგებლობას ვაკისრებ ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემს მოტყუებაში კონტრაქტის შევსებისას, ზეწოლაში და ყაჩაღურად სახლის წართმევაში. მათ სახელებსაც გაგაცნობთ, რომ ყველა მეზობელმა, ნათესავმა, ახლობელმა, მეგობარმა, მათმა შვილებმაც უნდა იცოდნენ, ვისთან აქვთ საქმე, რა არაადამიანებთან, უნამუსოებთან და იმასაც გამოვაქვეყნებ, რამდენი ადამიანი გააღატაკეს და დაღუპეს!

მთელი ცხოვრება ვიცხოვრებ მათი სახლების დაყადაღებისა და აუქციონზე გატანისთვის, რომ დაინახონ, როგორ შეიძლება, ადამიანებს გული დაუხეთქონ თავიანთი ქმედებებით.

მე სხვა გზა აღარ დამრჩენია არა იმიტომ, რომ ბინას ვკარგავ, არამედ ასეთი უსამართლობის ატანას აღარ ვაპირებ.... გონს მოეგეთ, თორემ ყალიბდება ჯგუფები და ასეთ ადამიანებს ყველგან, სადაც ვნახავთ, სანაგვე ყუთში გადავყრით, ბუკვალურად ჩავყრით სანაგვე ყუთებში...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კალეიდოსკოპი

### გოგონამ დელფინები უბრალო სავარცხლით მიიზიდა



გოგონამ ჩვეულებრივი სავარცხელი გამოიყენა, რათა დელფინების ყურადღება მიეპყრო. ეს ყოველივე ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოში მდებარე გასართობ პარკში მოხდა.

ვიდეოზე, რომელიც გოგონას ოჯახის წევრმა გადაიღო, ის უზარმაზარი აკვარიუმის მინის კედელს სავარცხელს ადებს და თითს მის კბილანებს უსვამს. მის მიერ გამოცემულმა ხმამ დელფინების ყურადღება მიიპყრო და მათ თავი გოგონას წინ მოიყარეს.

გოგონას მამის თქმით, ადრე ის ცდილობდა, როგორმე დელფინების ყურადღება მიეპყრო და ამისთვის სხვადასხვა საგანს – სათამაშოებს, მობილურ ტელეფონს იყენებდა, აკაკუნებდა აკვარიუმის მინის კედელზე, ასრულებდა სხვადასხვა მოძრაობას, მაგრამ ცხოველების ყურადღება ვერაფრით მიიპყრო, შემდეგ კი ინტერნეტში მოიძია ინფორმაცია სავარცხლით დელფინების ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობის შესახებ. გოგონამ ამ რჩევით ისარგებლა და ამჯერად საწადელს მიაღწია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ორშაბათი 26 თებერვალი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 01.45** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "პარიკები და ლამაზი მაქმანები" **12.15** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **13.00** მინი/სერ. "**დომბე და ვაჟი**" **14.00** დოკ/ფ "აბრეშუმის გზა" **15.30, 04.25** ტ/სერ. "**ექვსი და**" **16.30, 05.25** ტ/სერ. "**ღვინის გზა**" **18.30** დოკ/სერ. "სამეფო ტორტები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტელე-თამაში. "მარტივი ლოგიკა" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30, 06.25** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **23.30** მხ/ფ "**შვიდი წელი ტიბეტში**" (ბ.პიტი) **02.45** მხ/ფ "**ლარი ქროუნი**" (ჯ.რობერტსი)

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.15** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **23.30** სერ. "**ღირსების საქ 2**" 4 სერ. **00.30** მხ/ფ "**ბრუკლინელი პოლიციელები**" **02.40** მხ/ფ "**ციმბერლინი**" **04.45** მხ/ფ "**მცველი**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.30** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედის კონცერტი 2013 (სრული ვერსია) **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv პირველი **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45**, საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "**ატომი**" **09.00** სერ. "**კარგი ცოლი**" 1-2-3 სერ. **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" 2 სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები**" **15.00** სერ. "**შილდის აგენტები 2**" 1-2 სერ. **17.00** სერ. "**ფარი 3**" 5-6 სერ. **19.00** სერ. "**ჯაშუში 5**" 4-5 სერ. **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი 2**" 3 სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი**" **00.30** მხ/ფ "**ტროა**" **03.15** მხ/ფ "**ალქაჯების დრო**" **05.00** მხ/ფ "**მეცამეტე მეომარი**" **06.40** მხ/ფ "**შენი ტელეფონი შენი ცხოვრება**"

იბერია **08.00** ანიმაცია **08.30** დოკ/ფ **09.30** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **10.40, 12.40, 18.05, 19.50, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30, 00.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 3.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 01.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 2.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე" **21.00, 23.00** მხ/ფ

**08.00, 00.00, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00** სერ. "**ვასწავლი გიტარაზე დაკვრას**" **10.50** "ვემსახურები საქართ ველოს" **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.30** "ბიბლიოთეკა" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **15.30** მხ/ფ "**მე და მეფე**" **17.45** სტუდია "მონიტორის" პროექტი **18.30** თოქ-შოუ "არტ-ექსპერტი" **19.10** სერ. "**დიასახლისი**" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** თოქ-შოუ "სპორტკლუბი" **22.30** მხ/ფ "**ავტობუსი 657**" **00.05** მხ/ფ "**საღამო**"

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30, 19.15** "განთიადი" **10.10** დ/ფ "აკაკი" **11.00** კვირიაკე **12.05** დ/ფ "ულმერთოთა ღამე" **13.15** კონცერტი - ანს. "სახიობა" **15.10** დ/ფ "მარბენალი" **16.25** კონცერტი -სასულე საკრავთა საერთაშორისო ფესტივალი **18.15** დ/ფ "ხელოვნების ქურუმი" **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** დ/ფ "ქართული მართლმადიდებელი ეკლესია" **22.25** ზღვარზე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** შარავანდედი **23.40** დ/ფ "აკაკი შანიძე" **00.30** მხ/ფ "**ხარება და გოგია**" **02.45** კონცერტი -სტეფან გრაპელი **04.05** მხ/ფ "**დანტეს პიკი**"

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 თებერვლისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4671 | ევრო — 3.0375 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4475 | 100 რუსული რუბლი — 4.3763 |

## ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისთვის





## 22 თებერვლიდან




ეჟენ იონესკო

### განდგომილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## 23 თებერვლიდან

ალექსანდრ ლევკოვსკი

### ყველაზე შორეული ზურგი




წიგნი მოგვითხრობს 1943 წლის ზაფხულის მღელვარე პერიოდზე. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნაკლებად ცნობილი „ლენდ ლიზი"-ის პროექტის გაცნობა, რომლის მიხედვითაც ამერიკამ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი 11 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო მასალებითა და სურსათით მოამარაგა. რომანში მოქმედება სსრკ-ში, ჩინეთში, ამერიკაში, იტალიაში, ესპანეთსა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე ვითარდება.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



## 27 თებერვლიდან




შიო გვეტაძე

### მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## იუმორი



•••

დედაქალაქის მერიაში შევიდა განცხადება გეიაღლუმის გამართვაზე ხელისუფლების მხარდასაჭერად.

ხელისუფლებაში დაბნეულობაა.

•••

მალე შემოღებული იქნება გადასახადი „ისე, უბრალოდ" და ჯარიმა „რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის?"

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, ისე მიყურებთ, თითქოს თქვენი მშობლები აგარაკზე არიან წასული და სახლში მარტო ხართ დარჩენილი.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– არამ, ნაგვის გატანას ორი საათი რად უნდა?

– გავყიდე, ვაა!

•••

კაცი მღვდელს ეუბნება:

– მამაო, მომისმინე, თუ შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი სათქმელი მაქვს.

– გისმენ, შვილო ჩემო.

– ჩემს ცოლს ჩემი მოწამვლა უნდა!

– შეუძლებელია. საიდან მოიტანე?

– ნამდვილად ასეა, დავინახე, საჭმელში რაღაცას როგორ მიყრის და მას გემო ეცვლება.

– კარგი, შვილო ჩემო, შენს ცოლს დაველაპარაკები და ყველაფერს გავარკვევ.

მეორე დღეს კაცი ისევ მივიდა მღვდელთან. ხედავს, მას წვერი აჩეჩილი აქვს, ხელები უკანკალებს და ეუბნება:

– ახლახან ტელეფონით ვესაუბრე შენს ცოლს. სამი საათი ველაპარაკებოდი და ჩემი რჩევა გაინტერესებს?

– მიიღე ის შხამი, მიიღე.

•••

რედაქტორი დამწყებ მწერალს რჩევას აძლევს:

– თქვენი თხზულება, პირდაპირ გეტყვით, თქვენს დიდ გულმოდგინებაზე მეტყველებს, მაგრამ ჯერ თქვენ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოთ, რაც შეიძლება ბევრი უნდა იკითხოთ, იკითხოთ ყველგან, სახლში, ავტობუსში, მეტროში, მატარებელში, თვითმფრინავში.

– ფიქრობთ, რომ ეს დამეხმარება?

– რა თქმა უნდა! რაც უფრო მეტს წაიკითხავთ, მით უფრო ნაკლები დრო დაგრჩებათ საკუთარი შემოქმედებისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

### პაპაჩემი სტალინი

წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი






## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

### ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



## 21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

### დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის" მე-8 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## ჩილელები მკვდარი ვეშაპის სხეულს ვანდალურად მოექცნენ



ჩილელებმა ნაპირზე გამორიყული ლურჯი ვეშაპის სხეულზე რამდენიმე წარწერა ამოკაწრეს და ამით სოციალური ქსელების მომხმარებლების განრისხება გამოიწვიეს.

ინციდენტი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ პუნტა-არენასის მახლობლად მოხდა. რამდენიმე ადამიანმა სელფი დაღუპული ოცი მეტრი სიგრძის სხეულზე ამხედრებულმა გადაიღო. ვიღაცამ მასზე დანით ამოკაწრა სასიყვარულო მიმართვა ვინმე ანას მიმართ. ცხოველის სხეულს კიდევ მრავალი ნაკვალევი ეტყობა.

ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ოცმეტრიანი ცხოველის მძორი პლაჟიდან გაიტანეს.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა საკუთარ კომენტარებში ცხოველის მიმართ ასეთ მოპყრობას ბარბაროსობა უწოდეს. ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა თავის თანამემამულეებს, რომლებმაც ცხოველზე სხვადასხვა ტექსტი ამოკაწრეს, შეკითხვით მიმართა, თუ როგორი იქნებოდა, ვინმეს მათ სხეულზეც იგივე რომ მოემოქმედებინა.

ლურჯი ვეშაპი დედამიწაზე ყველაზე დიდ ცხოველად ითვლება. მისი სიგრძე 33 მეტრს აღწევს, ხოლო წონა 150 ტონას აღემატება. ის წითელ წიგნშია შეტანილი და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა სიაშია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზოოპარკში ლომმა მოყინული კუდი მოიკვნიტა



ჩინეთის შანსის პროვინციის ქალაქ ტაიუანის ზოოპარკში ლომმა საკუთარი კუდის ნაწილი მოიკვნიტა, რომელიც ყინულს მიეყინა.

ცხოველის ტრავმას ყურადღება ტურისტებმა მიაქციეს, რომლებიც ტაიუანში ჩინური ახალი წლის აღსანიშნავად იყვნენ ჩასული. კუდის ნაწილის დაკარგვის შემდეგ ხვადი ლომი და იმავე ვოლიერში მყოფი ძუ ლომი დათრგუნულად გამოიყურებოდნენ, რის გამოც ზოოპარკი ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობაში ეჭვმიტანილი აღმოჩნდა.

ზოოპარკის წარმომადგენლების მტკიცებით, მტაცებელს წყალსატევის მახლობლად ეძინა, რომლის ზედაპირი ყინულით დაიფარა. ვინაიდან ცხოველის კუდი წყალში დარჩა, გაიყინა და სისხლდენა დაეწყო, ლომმა მისი მოკვნეტა გადაწყვიტა. როდესაც ეს დაწესებულების ზედამხედველებისთვის გახდა ცნობილი, ცხოველს სისხლდენის შესაჩერებელი წამალი მისცეს.

## ჩინელები აიძულეს, ლიფტით მგზავრობის ფული გადაიხადონ



ჩინეთის დედაქალაქ პეკინში ზოგიერთ საცხოვრებელ სახლში ლიფტით სარგებლობისთვის ფულს ახდევინებენ.

პირველი ფასიანი ლიფტები ქალაქის სამხრეთ ნაწილში ძველ შენობებში დააყენეს, სადაც ადრე მხოლოდ კიბეები იყო. გადახდის დროს გამოიყენება იგივე ტექნოლოგია, რომელიც საზოგადოებრივ ტრანსპორტშია დანერგილი. ლიფტში მოსახვედრად სპეციალურ მოწყობილობასთან უნდა მიიტანოთ ელექტრონული ბილეთი, რომლიდანაც მგზავრობის საფასური 0,2 იუანი მოიხსნება.

დედაქალაქის ზოგიერთი მცხოვრები ამ სიახლეს მიესალმება. 60 წლის იან გუისიანის თქმით, ფასიანი ლიფტის დაყენების შემდეგ მას კიბეზე მძიმე ჩანთებით სიარული აღარ უხდება.

სოციალურ ქსელებში ამ სიახლეს გაცილებით სკეპტიკური გამოხმაურება მოჰყვა და უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ საბოლოოდ მაინც კიბით სარგებლობა მოუწევთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პროტესტანტების მღვდელი; 3. ფრანგი კომპოზიტორი (XIX ს.); 8. მოგრძო გუნდებად შემწვარი შეზავებული ფარში; 9. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 14. შექსპირის ტრაგედია; 15. ფოტოაპარატი; 17. ... დიასამიძე; 20. ნამდვილად არსებული ნივთი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო ყურე ციცაბო, კლდოვანი ნაპირებით; 25. ბილიარდის ჯოხი; 26. თხის ჯოგი; 27. უნდობლობა; 28. იტალიური მუსიკის მცოდნე, მოყვარული; 29. შლამის თევზი; 30. სასწორის თეფში; 31. გეომეტრიული სხეული.

**შვეულად:** 1. „... ჩვენი არსობისა"; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ძირითადი, მთავარი აზრი; 4. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი; 5. გამარჯვების უპირატესი შანსის მქონე ცხენი დოღში; 6. თეატრის კოლექტივი; 7. ერთგვარი ბრუნი ბალეტში; 10. თავბრუ; 11. დღესასწაული – მასკარადი ღია ცის ქვეშ; 12. ინგლისურ-ფრანგული ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი; 13. ცხვრის ჯოგი; 16. მწვადის შესაწვავი თავლია ღუმელი; 18. მსუსხავი ბალახი, მხლადაც გამოსაყენებელი; 19. ბატონო (თურქულად); 21. მოზრდილი მცოხნელი ცხოველი („ქორბუდა"); 24. ხის სატანვარჯიშო იარაღი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*